ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 8 მარტი, 2011 | №56 (5437) | ფასი: 30 თეთრი

## მინიმალური პენსია პირველი სექტემბრიდან 100 ლარი გახდება



მინიმალური პენსია 1 სექტემბრიდან 100 ლარი გახდება, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავში, პენსიონერებთან შეხვედრაზე განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, სტაჟისა და დამსახურების მქონე პენსიონერები დამატებით — 7 ლარს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პენსიონერები კი დამატებით 30 ლარს მიიღებენ.

— საქართველოში არ იქნება პენსიონერი, ვისაც არ ექნება მინიმალურ სამომხმარებლო კალათაზე ნაკლები პენსია. ეს მოხდება პირველი სექტემბრიდან, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

*ინტერპრესნიუსი*

# სააკაშვილი ოპოზიციისთვის სისხლიან სცენარს ამუშავებს

გვ.3



გვ.3

## მინისტრებს პარლამენტში იბარებენ

რატომ გაიბუტა გიგი წერეთელი



ხელისუფლება პირობას დებს, რომ „მარშრუტკით“ მგზავრობის ფასი არ გაიზრდება



გვ.7

## ურეიტინგო ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ შეცვლის



გვ.2

## ოპოზიციამ ხელისუფლებასთან „ნერვების ომს“ უნდა გაუძლოს

## ხელისუფლებას საქართველოში სამართლიანი არჩევნების ეშინია

გვ.2



## ჩვენი მიზანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა



გვ.2

## საქართველო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას თანხმდება

გვ.5

გვ.7



## ლალი მოროშკინას აშანტაჟებდნენ



გვ.4

## თავმოყვარე სახელმწიფო კოკოითის დიდი ხნის წინ გააქრობდა

რატომ ამბობს უარს საქართველო სეპარატისტების დასჯაზე

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 უზენაეს სასამართლოს განახლებული ვებ.გვერდი აქვს

3 სასმელ წყალში ანთროპოგენული და მიკრობული დაბინძურება აღმოჩნდა

2 თბილისის საქალაქო სასამართლოში საინფორმაციო ცენტრი ამოქმედდა

7 ხელისუფლება სერიოზული გამოცდის წინაშე დგას

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რუსეთი იზოლაციაში ვერ გაძლებს

**თბილისსა და მოსკოვს შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებები იწყება. მოლაპარაკებები 9 მარტს, ბერნში გაიმართება.**



ნანა მიშელაშვილი

ქართული მხრიდან მოლაპარაკებებს პრემიერ-მინისტრის აპარატი აწარმოებს, დელეგაციას ნიკა გილაურის მრჩეველი თამარ კოვზირიძე უხელმძღვანელებს.

საქართველოს საგარეო უწყება და დეპუტატები აცხადებენ, რომ შესაბამისი წინადადება თავად რუსეთის მხრიდან წამოვიდა.

რა წინადადების დაყენებას აპირებს ქართული მხარე და რა პირობა უნდა შეასრულოს რუსეთის ფედერაციამ იმისათვის, რომ ქართული მხარის თანხმობა მიიღოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს?

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილის განმარტებით, თავად ის ფაქტი, რომ რუსეთი თხოვნით წარდგა მოლაპარაკება დავიწყოთ, იმაზე მიუთითებს, რომ მას ინტერესი აქვს ეკონომიკური ურთიერთობის დაწყების დანარჩენ სამყაროსთან, მათ შორის მეზობლებთან. — რუსეთი თავადაც ხვდება, რომ იზოლირებულად საქმიანობას ვერ განაგრძობს და პრობლემები შეექმნება, — მიაჩნია აკაკი მინაშვილს.

კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ქართული მხარე კონსტრუქციულია და თამაშის იმ წესებით თამაშობს, რაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში არსებობს.

აკაკი მინაშვილის განმარტებით, ზოგადად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ვაჭრობა სახელმწიფოებს შორის გამჭვირვალე უნდა იყოს და აფხაზეთისა და ცხინვალის მონაკვეთზე საქართველოს საზღვრის, საშუალება უნდა გვქონდეს დავაკვირდეთ, რა საქონელი შედის და რა გადის.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ამ საკითხზე ქართულ-რუსული მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ? ამ შეკითხვაზე კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ მთავარი პრინციპი, რასაც ჩვენ ვითხოვთ, გამომდინარეობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციიდან, რომ საქონლის მოძრაობა გამჭვირვალე უნდა იყოს და საშუალება უნდა გვქონდეს ამ პროცესს დავაკვირდეთ.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ქართული მხარის თანხმობის გარეშე რუსეთი ვერ გახდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი.

— ის ფაქტი, რომ რუსეთი ითხოვს მოლაპარაკებას ეკონომიკურ საკითხებზე სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში, იმას ნიშნავს, რომ მათ შეგნებული აქვთ, რომ ეს ორგანიზაცია სჭირდებათ. სჭირდებათ საკუთარი ეკონომიკური წინსვლისათვის, სხვა შემთხვევაში, ძალიან სერიოზული პრობლემები ექნებათ, — აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, მათ საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები აქვთ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე საუბრობს და იხსენებს იმ პრეცედენტს, რომელიც მოლდოვას ტერიტორიაზე მოქმედებს, დნესტრისპირეთის კონფლიქტურ ტერიტორიასთან დაკავშირებით, სადაც ევროკავშირის მონიტორინგის სადამკვირვებლო მისია საზღვრებზე აწარმოებს სრულ აღწერას როგორც ტვირთბრუნვის, ასევე ადამიანთა გადადგილების.

გიორგი თარგამაძის თქმით, ევროკავშირის მანდატით აღჭურვილი ადამიანები, შესაბამისი პროფესიული ტექნიკით საკმაოდ კარგად ართმევენ თავს ამ ფუნქციებსა და მოვალეობებს.

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სიმწვავისა და დაპირისპირების ხარისხის გათვალისწინებით, კარგად მესმის, რომ ძალიან რთული იქნება მიღწევა შედეგის, რომლითაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია განლაგდება საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე, მხედველობაში მაქვს ფსოუს და როკის გვირაბი. ვფიქრობ, რომ მოლაპარაკების პროცესში საქართველოს პოზიცია უნდა იყოს მაქსიმალურად პრინციპული და სწორედ ამ საერთაშორიოს სამართლისა და პრეცედენტების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს ჩვენი მიდგომების გაძლიერება, — ასეთია უმცირესობის ლიდერის პოზიცია.

გიორგი თარგამაძე მოლაპარაკების დაწყების პროცესს დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ საქართველოსა და რუსეთს საერთო ინტერესების გამონახვა შეუძლიათ თუკი ორივე ქვეყნის პოლიტიკური ელიტა მოახერხებს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებისა და პრიორიტეტების გამოკვეთას. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა ითვალისწინებდეს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, ისევე, როგორც რუსეთის მიმართულებით საქართველოს გამოკვეთილი, ნათელი პოზიციების ჩამოყალიბებას, რომ ჩვენ არა ვართ დაინტერესებული ჩრდილოეთ კავკასიაში დესტრუქციული ქმედებების ხელშეწყობით და პირიქით, მზად ვართ ყველაფერი გავაკეთებთ იმისთვის, რომ კავკასიაში სამშვიდობო პროცესების და სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარი ხელშემწყობი სახელმწიფო გავხდეთ, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერის განმარტებით, ამ პოზიციების დაახლოებას შესაძლოა დიდი დრო და სერიოზული მცდელობა დასჭირდეს, მაგრამ ამაზე პასუხი ნამდვილად არ არის ის, რომ ხელები ჩამოვუშვათ და მოლაპარაკებებზე უარი ვთქვათ.

რა შედეგით დასრულდება ქართულ-რუსული შეხვედრის პირველი რაუნდი და გაწევრიანდება თუ არა რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რა შეთანხმებას მიაღწევენ მხარეები.

## ოპოზიციამ ხელისუფლებასთან „ნერვების ომს“ უნდა გაუძლოს



„რესპუბლიკელების“ ლიდერი, დავით უსუფაშვილი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებებს „ნერვების ომს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ ამას წარმატებით უნდა გაუძლოს.

მისი თქმით, ხელისუფლებას ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ წინადადებზე ჩამოყალიბება უჭირს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას დათმობების ეშინია.

— ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მანიშნებელი მისი სისუსტის, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, — განაცხადა უსუფაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## ჩვენი მიზანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა



„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის, დავით გამყრელიძის განცხადებით, „ოპოზიციური რვიანის“ მიზანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებებში კომპრომისის მიღწევაა.

როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, ისინი ხელისუფლებას სთავაზობენ და აინტერესებთ, მზად არიან თუ არა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, ბიომეტრული მონაცემებით მოახდინონ სიის დახვეწა და ამ საკითხის პრინციპულად დაყენებას აპირებენ.

გამყრელიძე იმედოვნებს, რომ 9 მარტს დანიშნულ მორიგ კონსულტაციაზე ხელისუფლება კონკრეტული შეთავაზებით მივა და დაახლოებით, მარტის ბოლომდე უკვე გარკვეული ინება, რამდენად სურს მას საარჩევნო გარემოს რეალურად შეცვლა.

— წინააღმდეგი შემთხვევა ხალხს ბრძოლის სხვა მეთოდზე ფიქრისკენ უბიძგებს. ჩვენ არანაირი რევოლუციის მოწყობას არ ვაპირებთ. მიგვაჩნია, რომ ეს არასწორი და მცდარი გზაა, რომელსაც ქვეყნისთვის არაფერი კარგი არ მოუტანია, მაგრამ არც ხალხის ნების წინააღმდეგ წავალთ, თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხალხის ნების გამოხატვის საშუალება იყოს არჩევნებზე და არა რევოლუციებზე, — აღნიშნა გამყრელიძემ.

გუშინ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე “ოპოზიციური რვიანისა“ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა.

ინტერპრესნიუსი

## ხელისუფლებას საქართველოში სამართლიანი არჩევნების ეშინია



„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას საქართველოში სამართლიანი არჩვენების ჩატარების ეშინია.

როგორც ძიძიგურმა გუშინ „Holiday'nn“-ში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რამდენად არასერიოზულად და არაარგუმენტირებულად ცდილობს ხელისუფლება თავიდან აირიდოს საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება.

მისი თქმით, თუ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს შეცვლის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებებში ოპოზიციის წინადადებებს არ გაითვალისწინებს, პასუხისმგებლობა არა მარტო საკუთარი ხალხის, არამედ მსოფლიოს წინაშე დაეკისრება.

ინტერპრესნიუსი

## თბილისის საქალაქო სასამართლოში საინფორმაციო ცენტრი ამოქმედდა



დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში საქალაქო სასამართლოს ინიციატივითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)-ისა და DPK Consulting-ის მხარდაჭერით საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა. აღნიშნული საკონსულტაციო კომპანია, რომელიც USAID-ის სასამართლოს ადმინისტრირებისა და მართვის რეფორმის პროექტის ფარგლებში ეხმარება სასამართლოებს სასამართლო ადმინისტრირებისა და საქმის წარმოების გაუმჯობესებაში, აქტიურად თანამშრომლობს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან.

საინფორმაციო ცენტრის გახსნა საზოგადოებრივი სასამართლოს განვითარების პროცეში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

საინფორმაციო ცენტრში მუშაობენ კვალიფიციური სპეციალისტები, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოლეგიებიდან. ისინი სასამართლოში მოსულ მოქალაქეებს სასამართლოს საქმიანობის შესახებ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან. სპეციალისტები ასევე, მარტივი ენითა და ფორმით უხსნიან მოქალაქეებს სხვადასხვა იურიდიულ საკითხებს, რაც შემდგომ მათ მიერ დაწყებულ სამართალწარმოების პროცესს გაცილებით აადვილებს და აჩქარებს.

საინფორმაციო ცენტრის გახსნა მომავალში, საზოგადოებასა და სასამართლოს შორის გამჭვირვალე და ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, რაც თავის მხრივ სასამართლოსთან მოქალაქის ურთიერთობას კიდევ უფრო გაამარტივებს.

## უზენაეს სასამართლოს განახლებული ვებ.გვერდი აქვს

2011 წლის 7 მარტიდან უზენაეს სასამართლოს ვებ.გვერდის მომხმარებლები უკვე განახლებული საიტიდან მიიღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას.

ახალ საიტზე გაუმჯობესებულია არა მარტო გარეგნული პარამეტრები, არამედ საძიებო სისტემა. ინფორმაციების მოძიება ახლა უფრო მარტივად იქნება შესაძლებელი საიტის მთავარ გვერდზე გამოტანილი ბლოგების მეშვეობით.

ძველი საიტისგან განსხვავებით, ახალი ვებ.გვერდი უფრო მეტად ინფორმაციული და მრავალფეროვანია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## ლეიბორისტები თბილისში მომხდარი ტერაქტების გამოძიებას გაეროს სთხოვენ



ლეიბორისტული პარტია საქართველოში მომხდარი ტერაქტების გამოსაძიებლად გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტულ სამსახურს სპეციალური კომისიის შექმნას სთხოვს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, დღეისათვის უკვე ნათელია, რომ თბილისში მომხდარი ტერაქტები, მათ შორის ლეიბორისტების ოფისთან მომხდარი აფეთქება, რომელიც მსხვერპლითაც დასრულდა, სააკაშვილისა და მერაბიშვილის მიერ იყო ორგანიზებული.

ძაგანიას თქმით, ამას ისიც მოწმობს, რომ გამოძიება ლეიბორისტულ პარტიას დაზარალებულ მხარედაც კი არ განიხილავს და მომხდართან დაკავშირებით ყოველგვარი ინფორმაციის გაცემაზე უარს ეუბნება.

— დღეს ჩვენ გაეროს უშიშროების საბჭოს წერილობით მივმართავთ და სპეციალური კომისიის შექმნას ვთხოვთ, რომელმაც ბოლო დროს მომხდარი ტერაქტები უნდა გამოძიოს,— განაცხადა ძაგანიამ და დასძინა, რომ შესაბამისი კომისიის შექმნის შემთხვევაში, ლეიბორიტები კომისიის წევრებს მათ ხელთ არსებულ ყველა მასალას მიაწვდიან.

**მედიანიუსი**

## სასმელ წყალში ანთროგენული და მიკრობული დაბინძურება აღმოჩნდა



თბილისში და აღმოსავლეთ 22 ქალაქში, სასმელ წყალში ანთროგენული და მიკრობული დაბინძურება აღმოჩნდა.

საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატმა" წევრმა, ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა გაბუნიამ, ნათაძის სახელობის სანიტარიისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევის დასკვნის შედეგები წარადგინა, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს 22 ქალაქში, მათ შორის თბილისში, სასმელ წყალში ანთროპოგენული და მიკრობული დაბინძურება დასტურდება.

ზაზა გაბუნია მოითხოვს სურსათის უვნებლობის სამსახურისგან, როგორც ერთადერთი პასუხისმგებელი სუბიექტისგან, განმარტებებს ნათაძის სახელობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევაზე, კერძოდ არის თუ არა სასმელი წყალი ეპიდემიური თვალსაზრისით უსაფრთხო, ქიმიური შემადგენლობის მიხედვით უვნებელი და მომხმარებლისთვის მისაღები.

**ინტერპრესნიუსი**

# მინისტრებს პარლამენტში იბარებენ

## რატომ გაიბუტა გიგი წერეთელი

**ნანა მიშელაშვილი**



საპარლამენტო უმცირესობა პარლამენტში მთავრობას იბარებს. უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა და პარლამენტში მინისტების დაბარება მოითხოვა.

საპარლამენტო ოპოზიციას შეკითხვები დაუგროვდა და მათზე პასუხის გაცემას აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ითხოვს. მინისტრების გარდა, შესაძლოა, პალამენტში პრემიერი ნიკა გილაურიც მივიდეს.

გიორგი თარგამაძის განმარტებით, მოსახლეობას უამრავი პრობლემა აწუხებს, პრობლემებია დევნილთა ჩასახლების ადგილებში, სოფლის მეურნეობის კუთხით და სხვა. თარგამაძის თქმით, მინისტრების დაბარება სამთავრობო საათის ფორმატში საკმაოდ გაიწელება, ამიტომ მთავრობის ანგარიში უნდა წარუდგინოს დეპუტატებს.

უმცირესობის ლიდერს პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა. დავით ბაქრაძის განცხადებით, საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს თუ რას აკეთებს მთავრობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის სამუშაო ადგილების შექმნა, ინფლაციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

დავით ბაქრაძემ უმცირესობის ლიდერს შესთავაზა, რომ მოიფიქრონ, რა ფორმით მოხდება პარლამენტში მინისტრების გამოსვლა. ამის გამო, უმცირესობისა და უმრავლესობის ლიდერებს შორის ამ დღეებში კონსულტაციები გაიმართება.

— მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მთავრობა, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

— ან რას ვერ აკეთებს მთავრობა, — თქვა გიორგი თარგამაძემ.

— ან რას ვერ აკეთებს ოპოზიცია, — ჩაილაპარაკა ნუგზარ წიკლაურმა.

გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გიგი წერეთელი „გაიბუტა". ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დავით ბაქრაძემ გიგი წერეთელს შენიშვნა მისცა. ბიუროს სხდომის ბოლოს ბაქრაძე დეპუტატებს ახალ ინიციატივებს აცნობდა, ამ დროს გიგი წერეთელმა დაილაპარაკა, რის გამოც ვიცე-სპიკერმა შენიშვნა მიიღო.



— რეგულარულად ხმაურობ, — უთხრა ბაქრაძემ გიგი წერეთელს.

— რას ჰქვია რეგულარულად?— შეეკამათა გიგი წერეთელი პარლამენტის თავმჯდომარეს და ისიც დაამატა, რომ მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა.

— სიტყვას ნუ მაწყვეტინებ, — ხუმრობით უთხრა პარლამენტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელს და საუბარი გააგრძელა.

მას შემდეგ, რაც პარლამენტის ბიურო დამთავრდა, გიგი წერეთელი დავით ბაქრაძესთან მივიდა. საუბრის შემდეგ ორივე მხარე „დაზავდა". ყოველ შემთხვევაში, სპიკერსა და ვიცე-სპიკერს შორის ხმამაღალი საუბარი არ ყოფილა და ისინი ერთმანეთს მშვიდად დაშორდნენ.

გუშინ კიდევ ერთი საკითხი გახდა ცნობილი. კერძოდ, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებები შედის. ეს ცვლილება გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურიზაციის შეცვლით არის გამოწვეული. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით გრაფიკი უკვე შედგენილია და მისი განხილვა ფრაქციებსა და კომიტეტებში მოხდება. ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები აქვს საპარლამენტო ოპოზიციას, რომლებიც პასუხს განხილვის დროს მიიღებენ.

# სააკაშვილი ოპოზიციისთვის სისხლიან სცენარს ამუშავებს

**ნონა ცაბა ე**

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, ოპოზიციონერი ლიდერები საკმაოდ ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ რევოლუციაზე. რამდენად იგრძნობა ამის საფრთხე და საერთოდ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— მე თქვენი გაზეთითაც მომეცა საშუალება, გამეკეთებინა სავარაუდო პროგნოზები, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. ის, რომ დღეს ოპოზიციონერები ბევრად უფრო აქტიურად აცხადებენ, მოსალოდნელი რევოლუციის თუ გადატრიალების (რაც გინდა ის დავარქვათ) შესახებ, ეს იყო მოსალოდნელი აი, იმ პროგნოზიდან გამომდინარე, რომელსაც მე ვაკეთებდი. ვგულისხმობ იმას, რომ სააკაშვილი თვითონ არის დაინტერესებული რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით. სააკაშვილის გეგმა დღეს არის სამომავლოდ პრემიერ-მინისტრის პოსტის შენარჩუნება და მან ძალიან კარგად იცის, რომ ჩვეულებრივ ორდინალურ პირობებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებით, თუნდაც პირველ ადგილზე გავიდეს მისი ნაციონალური მოძრაობა, ეს პირველი ადგილი არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დამტკიცდეს. ან თუნდაც კონსტიტუცია იყოს მიღებული იმდაგვარი, როგორიც მას და მის გუნდს სჭირდება ხელისუფლების შესანარჩუნებლად. სააკაშვილმა ასევე ისიც იცის, რომ როგორი გამყიდველიც არ უნდა იყოს ოპოზიცია, არადა, ოპოზიცია ნამდვილად გამყიდველია, ღიად არც ერთი ოპოზიციონერი სააკაშვილის პრემიერობას მომავალ პარლამენტში ხმას არ მისცემს. ამიტომ მას სჭირდება ექსტრემალური პირობების ხელოვნურად შექმნა, რადგან დღეს ამის წინა პირობა ბუნებრივად არ არსებობს. ამის ანალოგიად შეიძლება გავიხსენოთ 7 ნოემბრის აქციის დარბევა და იმის შემდგომ განვითარებული მოვლენები. 7 ნოემბერს რეალურად, ბუნებრივად არსებული მღელვარება სააკაშვილის ხელისუფლებამ დაარბია და თან დღემდე არნახული სისასტიკით. იმ პერიოდში შეიძლებოდა ეს მუხტი გამოყენებული ყოფილიყო მაქსიმუმ ხელისუფლების შესაცვლელად და მინიმუმ სახელის გასატეხად მაინც, ოპოზიციამ უკან დახევა არჩია.

***— ფიქრობთ, რომ გარიგებულები იყვნენ?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს იყო წინასწარ შეთანხმებული და სწორედ ამიტომ მოხდა ეს და შემდგომ უკვე სრული დეპრესიის და დათრგუნვის პირობებში, გამარჯვებულმა სააკაშვილმა დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. მართალია რამდენიმე ოპოზიციონერი მაინც ყიჟინით იყო გართული, რომ მოვიგეთ ჩვენ და ვაიძულეთ სააკაშვილი, რომ დაენიშნა საპრეზიდენტო არჩევნებიო, მაგრამ ეს იძულებით გადადგმულ ნაბიჯს ნამდვილად არ ჰგავდა და შედეგმაც არ დააყოვნა, რაც მივიღეთ იმ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ყველამ ვნახეთ. მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ანალოგიური სიტუაციის გათამაშება უნდა სააკაშვილს და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ სცენარში მას დაეხმარება, ისევე როგორც ადრე ეხმარებოდა ოპოზიცია. ამ შემთხვევაში უკვე საქმე შეეხება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც ჯერჯერობით კიდევ უფრო გადადეს. იმდენად, რამდენადაც მაშინდელი ოპოზიციის რეიტინგი და დღევანდელი ოპოზიციის რეიტინგი არის ძალიან განსხვავებული. მაშინ ოპოზიციის მიმართ ნდობის რაღაც ფაქტორი მაინც არსებობდა და დღეს ეს ფაქტორი სამწუხაროდ არ არსებობს, ამიტომ მე ვფიქრობ საგანგებოდ მწვავდება სოციალური ფონი.

***— თქვენი აზრით, ეს მიზანმიმართულად ხდება?***

— დიახ, ფასების ზრდა ხდება მიზანმიმართულად. მე, რა თქმა უნდა, ვიცი, მთელს მსოფლიოში რა პროცესებიც მიმდინარეობს და გასაგებია, რომ ეს პროცესები თავის გავლენას მოახდენს საქართველოს მდგომარეობაზეც, მაგრამ ის პროცენტული მატება ფასების და სოციალური ფონის იმ დოზით დამძიმება, როგორც ხდება, ეს აშკარად ხელოვნურად იქმნება. ამ შემთხვევაში ეს შეიძლება გამოყენებულ იყოს ორმაგად ხელისუფლების მიერ. ერთის მხრივ, მოსახლეობა აიძულოს, გამოყვეს გარეთ ოპოზიციას და შემდგომ უკვე, როცა ეს აქცია 7 ნოემბრის მსგავსად იქნება დარბეული ხელისუფლების მიერ და ოპოზიციაც უკან დაიხევს, გამარჯვებული კვლავ სააკაშვილი გამოვა. დანიშნავს საპარლამენტო არჩევნებს, შეამსუბუქებს სოციალურ ფონს და ამას თვითონ მიიწერს. ეს არის ალბათ 90%, თუ რა შედეგითაც შეიძლება ეს პროცესები განვითარდეს. არსებობს ასევე მეორე ვარიანტიც, რომელიც, სამწუხაროდ, ასევე წაუგებელია ხელისუფლებისთვის, ეს არის იმ შემთხვევისთვის, თუ არანაირი არეულობა არ მოხდა. ამ შემთხვევაში შეიძლება საგანგებო ვითარების შექმნა სააკაშვილს გაუჭირდეს, მაგრამ ოპოზიციამ თუ ეს მუქარის ყიჟინა ვერ აასრულა, მაშინ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუმცა, მე მაინც უფრო პირველი ვარიანტისკენ ვიხრები. ასევე შეიმჩნევა ისიც, რომ სააკაშვილი საგარეო ფაქტორებსაც, ანუ პოლიტიკურ მოტივაციასაც ამზადებს ოპოზიციასთან გასასწორებლად, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების დასაცავად აქციის დარბევის გათამაშება სააკაშვილს არ აწყობს, მას აშკარად სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ ოპოზიციის უკან დგას საქართველოს მტრული ძალა და სწორედ ამის გამო ეძლევა მას საშუალება, დაარბიოს აქცია. ამისი დადასტურება, რომ სააკაშვილი ემზადება ასეთი სცენარისთვის, იყო თუნდაც ის ძალიან სასაცილო და კომიკური აქცია, რომელიც იმედის ტერიტორიის განაღმვას უკავშირდებოდა. სამი თვის წინ დაპატიმრებული ადამიანების მიერ მიცემული ჩვენება იმის თაობაზე, რომ დანაღმულია ტერიტორია, მხოლოდ სამი თვის შემდეგ იქნა განაღმული. გამოდის, რომ იმედის თანამშრომლები სამი თვე დანაღმულ ტერიტორიაზე დადიოდნენ და არავის არაფერი არ მოუვიდა?

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მოვლენები დადგმული სცენარით უნდა განვითარდეს?***

— სამწუხაროდ, ასე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, არ მგონია, რომ მთელი საქართველოს პოლიტიკური სპექტრი მოღალატეებითა და სააკაშვილთან გარიგებულებით არის სავსე, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ ადამიანებს ეძლევათ სწორედ ფინანსური საშუალება, ასეთ ადამიანებს ეთმობათ ყველა ტელევიზია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიმეორებ, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს თავისუფალი ტელევიზია, მით უმეტეს, ოპოზიციური ტელევიზია არ არსებობს. ყველა იმართება სხვადასხვა ფუნქციით და დატვირთვით ხელისუფლების მხრიდან და მხოლოდ ბეჭდვით მედიაშია დარჩენილი ორი-სამი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც მეტნაკლებად ახერხებს ისეთი პოზიციის გაშუქებას და მათთვის ტრიბუნის დათმობას, რომელიც ამ ეტაპზე არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციის შეხედულებებს არ გამოხატავდეს.

***— ასევე ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ის, რაც მსოფლიოში ხდება, ჩვენს ქვეყანასაც გადმოედება და საპროტესტო ტალღა აუცილებლად აგორდებაო და თქვენი აზრით, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ხელისუფლებამ მის მიერ დადგმული სცენარის გაკონტროლება შეძლოს?***

— 100%-ით ყველაფერი მარტო ღმერთმა იცის, ამიტომ ჩვენ რასაც ვვარაუდობთ, ეს არის ადამიანურ ლოგიკაზე და გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ვარაუდი. შესაძლებელია ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუნება ჩაერიოს იმდაგვარად მოვლენებში, რასაც ჩვენ წინასწარ ვერ გავთვლით და შეიძლება საერთოდ მთელი საჭადრაკო დაფა აყირავდეს და ყველაფერი სხვა სცენარით წავიდეს. ეს იმ შემთხვევაში თუ ღმერთმა გადმოგვხედა ამ ეტაპზე მაინც, ამას ბუნებრივია წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. რაც შეეხება მთელს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გადმოდებას საქართველოზე, ამას მე მთლიანად გამოვრიცხავ. ვერანაირ ანალოგიას ვერ ვხედავ ეგვიპტეში და სხვაგან მიმდინარე მოვლენებსა და საქართველოს შიგნით მიმდინარე მოვლენებს შორის. საქართველოს ხელისუფლება სამწუხაროდ, დღეს ყველაზე ძვირად ღირებულ საჩუქარს წარმოადგენს როგორც შეერთებული შტატებისთვის, ასევე რუსეთისთვის. ნებისმიერი სუპერსახელმწიფოსთვის, ისეთი ტიპის ხელისუფლება, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი, რომელიც ბევრი რამით არის მათგან დაბმული იმის გამო, რომ ის ხელისუფლებაში დარჩეს, ასეთი ტიპის ხელისუფლება ყოველთვის ურჩევნია ნებისმიერ სუპერსახელმწიფოს, თუკი მას ამ პატარა ქვეყანაში რაღაც ინტერესი აქვს. აგვისტოს ომმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სამწუხაროდ, ამ ეტაპზე რუსეთი და შეერთებული შტატები საქართველოსთან დაკავშირებით მორიგდნენ. გაიყო საქართველო ორ ნაწილად, ერთი ნაწილი — რუსული სამხედრო ბაზებისთვის და მეორე ნაწილი — ამერიკული სამხედრო ბაზებისთვის. ნატოში შეყვანას საქართველოს არც ერთ ნაწილს არავინ არ უპირებს. აქ ლაპარაკია მხოლოდ სამხედრო ბაზების განლაგებაზე.

***— საუბრები იმის შესახებ, რომ დასავლეთი სააკაშვილს მხარს აღარ უჭერსო, აბსურდია?***

— იცით რა არის, შეიძლება დასავლეთმა სააკაშვილის ისეთი თავგამოდებით დაცვა აღარ დაიწყოს და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ მე ვფიქრობ, კიდევ დარჩა სააკაშვილს რამდენიმე ისეთი საქმე გასაკეთებელი, რომელიც ჯობია სახელგატეხილმა და ამ მდგომარეობაში მყოფმა ხელისუფლებამ გააკეთოს. თუ ადრე სააკაშვილის ხელისუფლება იყო უალტერნატივო, მათ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თავმოყვარე სახელმწიფო კოკოითის დიდი ხნის წინ გააქრობდა

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ პოლიტიკოსსა და სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან

**რატომ ამბობს უარს საქართველო სეპარატისტების დასჯაზე**



***— ბატონო გიორგი, ქართველ საზოგადოებას ყოველდღიურად თავში უჭედავენ აზრს, რომ თუ საქართველო არ იქნება ჩრდილოეთთან ან დასავლეთთან, ისე ვერ იარსებებს. თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?***

— ჩვენ უნდა განვასხვავოთ ორი ელემენტი. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შევიმუშავოთ უსაფრთხოების გეგმა. საქართველოს გარკვეული პრობლემები აქვს სამხედრო განათლებისა და სამხედრო ტექნოლოგიების თვალსაზრისით. მე და ჩემი მეგობრები ვამბობთ, რომ ჩვენ დასავლეთი გვჭირდება. ვფიქრობთ, პოლიტიკაშიც გავაქტიურდეთ, რადგან ჩვენი პოლიტიკური სპექტრი საერთოდ ვერ ფლობს სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებს. მათი ხედვა გადის ორ ელემენტზე, ამერიკაზე ან რუსეთზე. ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ, ამის ხედვა არ გაგვაჩნია. ყოველთვის ვღიზიანდები, როცა მესმის „ოსი ძმები", „აფხაზი ძმები", „თუ გვინდა აფხაზეთი დავიბრუნოთ, ჩვენი გზა გადის აფხაზების გულების მობრუნებაზე". ეს არის აბსურდი, ბავშვობა, უაზრობა. ასეთი რამ არ არსებობს. არანაირი „მეგობარი" და „ძმა" არ არსებობს. ის არის სეპარატისტი, რომელიც უნდა დააბრუნო...

***— როგორც უნდა დააბრუნო?***

— ძალით...

***— ტერიტორია?***

— ტერიტორია, რა თქმა უნდა. ვისაც უნდა, დარჩება. მას პირობები უნდა შეუქმნა, რომ დარჩეს. როგორ მოეპყრობი დაბრუნებულს, ამაში გამოიხატება შენი, როგორც ერის ცივილიზებულობა.

***— ეთქვენ არ ემხრობით იმ თეზას, რომ ჩვენ ტერიტორია კი არა, ჯერ ხალხი უნდა დავიბრუნოთ?***

— ვინ ხალხი უნდა დავიბრუნოთ?

***— ბატონო გიორგი, ასეთი განცხადებებიც სპეკულაციაა?***

— რა თქმა უნდა, აბსურდია. არანაირი ხალხი არ უნდა დავიბრუნოთ. აფხაზეთი ქართული ტერიტორიაა.

***— მაშინ ეს როგორი აზროვნებაა?***

— არაფერი. მათ გეგმა არ გააჩნიათ. როცა ადამიანს პრაქტიკული მოქმედების გეგმა არ გააჩნია, ის პოეზიასა და სადღეგრძელოებზე გადადის. როცა პოეტური აზროვნება სჭარბობს შენში, ის ფარავს სახელმწიფოებრივს. სახელმწიფოებრივი აზროვნება ვერ იტანს გულჩვილობასა და ზედმეტ სირბილეს. ბრიტანული, ცივილიზებული და განვითარებული სახელმწიფო საკმაოდ მკაცრად მოქმედებდა ირლანდიელი სეპარატისტების წინააღმდეგ. ეს ფაქტია.

***— მით უმეტეს, ირლანდია ისტორიულად ინგლისელების არ იყო.***

— ეს სხვა თემაა, მაგრამ ახლა რეალობიდან უნდა გამოვიდეთ. ასევე ბასკი სეპარატისტების წინააღმდეგ ესპანური სახელმწიფო საკმაოდ მკაცრად იბრძვის. საფრანგეთი ძირშივე აღკვეთს ხოლმე ნებისმიერ სეპარატისტულ გამოვლინებას. ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო გაგვიგებს, თუ ჩვენ მკაცრად ვიმოქმედებთ სეპარატიზმის წინააღმდეგ. ის გულჩვილობა, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს ახასიათებთ, როცა ლაპარაკია რაღაც ქმედებაზე, ეჭვს ბადებს, რომ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს არ ესმის, როგორ უნდა მოაგვაროს ესა თუ ის პრობლემა.

***— სახელმწიფოს მოწყობის საკითხებში კომპეტენტურები არ არიან?***

— დიახ. მათ არ იციან, როგორ მოაწყონ სახელმწიფო და შემდეგ ამ სახელმწიფომ როგორ უნდა მოახერხოს თავისი პოტენციალის გამოყენება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. საკმაოდ კრიტიკულად ვარ განწყობილი ხელისუფლების მიმართ, რადგან სახეზეა მისი უუნარობა. მათ არ იციან, როგორ მოაგვარონ პრობლემები. სამწუხაროდ, ასევე გულაცრუებული ვარ ოპოზიციური სპექტრის მიმართ, რომელსაც სხვა საქმე არ აქვს, გარდა იმისა, რომ გეგმები და პროექტები წარმოადგინოს. თუ როგორ ხედავენ ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებას, ამის თაობაზე პროექტები არ არსებობს. თურმე საქართველოში ქართველი ერისა და ქართველი საზოგადოების საფიქრალი სააკაშვილის წასვლა-არწასვლა ყოფილა. უკვე ოცი წელია დაკავებული ვართ პირველი პირების წასვლა-დარჩენის პრობლემატიკით. სხვა ყველაფერი თავზე გვენგრევა.

***— სამაგიეროდ, ქვეყნის პირველი პირი დაკავებულია პიარაქციებითა და უცნაური განცხადებებით, რომელსაც ის საქართველოს თაობაზე უცხოელ ჟურნალისტებთან აკეთებს ხოლმე. ერთ-ერთ ინტერვიუში სააკაშვილი საქართველოსა და მის ხელისუფლებას კარგ მოსწავლეს ადარებს, რომელიც მიუხედავად ფრიადოსნობისა, შემდეგ კლასში არ გადაიყვანეს, ანუ ჩვენი ქვეყანა ნატოში არ შეიყვანეს და ა.შ. ქვეყნის პირველი პირის ასეთი განცხადებები რის მანიშნებელია?***

— პოლიტიკური უმწიფრობის. ის ამ საზოგადოების შვილია და ზუსტად ისე აზროვნებს, როგორც ჩვენი საზოგადოება.

***— სახელისუფლებო ჯგუფის მიერ საზოგადოებაზე განხორციელებულმა მუდმივმა ზეწოლამ და მანიპულირებამ ხომ არ აქცია ჩვენი საზოგადოება ისეთად, როგორიც არის?***

— არა. ის საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებისაგან მართულია, ის საზოგადოება არ არის. ჩვენი საზოგადოებაც ახალგაზრდაა. ხელისუფლება დაკავებული უნდა იყოს შიდა პოლიტიკური ჭიდილითა და თანდათან უნდა იხვეწებოდეს. უამრავი რაღაც შეიძლება წარმოვადგინოთ, ამა თუ იმ პოლიტიკოსს რა შეეშალა ლაპარაკში, მაგრამ ეს იმის ბრალია, კონკურენცია ძალიან დაბალია და პოლიტიკოსები საკუთარ თავზე არ მუშაობენ. მაღალი კონკურენციის პირობებში ეს განცხადება სააკაშვილის იმიჯის დაცემას გამოიწვევდა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ არსებობს სააკაშვილი, რომელიც რაღაცას აკეთებს და არსებობს უამრავი კომენტატორი პოლიტიკოსი, რომელიც დაკავებულია მხოლოდ სააკაშვილის მსჯელობების განხილვით. ისინი იმაზე კი არ მსჯელობენ, როგორ გამოასწორონ საქართველოს ეკონომიკა, ან როგორ მოაგვარონ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა...

***— ოპოზიციას როგორ შეუძლია ეკონომიკური პრობლემების გამოსწორება?***

— პროექტები უნდა ჰქონდეს, გამზადებული პროექტებით უნდა მოდიოდეს. რა თქმა უნდა, ოპოზიციას პრობლემების გამოსწორება არ შეუძლია. სანამ ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვა, უნდა წარმოადგინოს, რით მოდის ხელისუფლებაში, მით უმეტეს, როცა სპეციფიკური გარემოა, როცა ხელისუფლება ცდილობს გააყალბოს არჩევნები და ძალიან მკაცრ ზეწოლას ახორციელებს ამომრჩეველზე. ამ პირობებში ოპოზიციამ გაცილებით რეალისტური გეგმები უნდა წარმოადგინოს, ვიდრე ხელისუფლებას გააჩნია.

***— თქვენ ოპოზიციას აკრიტიკებთ, რომ ის 20 წელია დაკავებულია იმით, სააკაშვილი წავა თუ არ წავა. მაშინ თქვენ რატომ მონაწილეობდით სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამართულ აქციაში?***

— ზუსტად იგივეს გავაკეთებ ახლაც. მე გამოვთქვამ ჩემს პროტესტს. პროტესტის დამაგვირგვინებელი უკიდურესი მოთხოვნაა, ხელისუფლება გადადგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილო ვარ. ჩვენ გვინდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე დღეს არის. აქ პოლიტიკურ ძალაზეა ლაპარაკი, რომელსაც სახელმწიფოს მართვა შეეძლება. არ შეიძლება 50-კაციანმა პოლიტიკურმა გუნდმა სახელმწიფო მართოს.

***— სააკაშვილმა გამოთქვა რუსეთთან თანამშრომლობის სურვილი ჩრდილო კავკასიის უსაფრთხოების საკითხში, კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. რამდენად რეალურია რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებების თანამშრომლობა კავკასიის საკითხებში?***

— ვფიქრობ, ეს არის უდიდესი შეცდომა. ჩრდილოეთ კავკასია არის ჩვენი ბერკეტი რუსეთზე ზემოქმედებისთვის. აქედან გამომდინარე, რუსეთთან არანაირ თანამშრომლობაზე საქართველო არ უნდა წავიდეს, სანამ რუსეთი უპირობოდ არ დათმობს ოკუპირებულ ტერიტორიებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რუსეთთან რაიმე ტიპის მოლაპარაკებაზე წასვლა. საქართველოს ხელისუფლებამ ყოველდღიურად უნდა აწარმოოს ზეწოლა ჩრდილო კავკასიით რუსეთის ხელისუფლებაზე და განახორციელოს მონიტორინგი ჩრდილო კავკასიაში ადამიანის უფლებების დასაცავად, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ამის მორალური უფლება უნდა ჰქონდეს — ადამიანის უფლებები საქართველოში უმაღლეს დონეზე უნდა იყოს დაცული.

ასევე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ დასავლეთთან და აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის მაღალ დონეზე აყვანისთვის. შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოებთან ჩვენი მიზნების სინქრონიზაცია, მაგრამ მათგან ზედმეტი არ უნდა მოვითხოვოთ. ამ სახელმწიფოებისგან უნდა მივიღოთ დახმარება, რომ ჩვენმა სახელმწიფომ შეძლოს ეკონომიკის უსწრაფესი განვითარება და უსაფრთხოების სისტემის სწრაფი მოდერნიზება. საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ ამ სფეროებში ჩვენ დახმარება მივიღოთ, მაგრამ იმ პოტენციალს, რომელიც შეგვეძლო მოგვეხმარებინა საქართველოს გასაძლიერებლად, შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებში დავხარჯეთ. ხელისუფლება ხარჯავს იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, ხოლო ოპოზიცია ცდილობს დახარჯოს არა საქართველოს გასაძლიერებლად, არამედ კვლავ ხელისუფლების შესაცვლელად. მაგალითად, ავღანეთში საქართველოდან საკმაოდ დიდი კონტინგენტია წარმოდგენილი, რაც საკმაოდ ბევრის მოთხოვნის უფლებას გვაძლევს იმავე ნატოსგან, ამერიკისა და ევროპის ქვეყნებისგან. ჩვენი მთავარი მოთხოვნა კი ფიქსირდება პოლიტიკურ დონეზე იმისთვის, რომ ხელისუფლება ან ვილაც გაპიარდეს.

***— რის მოთხოვნა შეუძლია საქართველოს, მაგალითად, ნატოსგან, ამერიკისგან ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობის სანაცვლოდ?***

— იარაღი, იარაღი, იარაღი, ტექნოლოგიები, სამხედრო განათლება. 2000 წელს უზარმაზარ ფინანსურ მხარდაჭერას ვღებულობდით, როცა დაიწყო წვრთნისა და აღჭურვის პროექტის განხორციელება. ამერიკამ, ფაქტობრივად, ოთხი ბატალიონი შეგვიქმნა. ეს იყო საქართველოს სამხედრო სფეროში გარღვევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამან განვითარება ვერ ჰპოვა. ეს არის ჩვენი საზრუნავი. თუ ჩვენ გვინდა სახელმწიფო შევქმნათ, ორი ელემენტია მთავარი — ეკონომიკა და სამხედრო სფერო. თუ ამ ორ ელემენტში გარღვევა ვერ მოვახერხეთ, ჩვენ ვიქნებით სატელიტი სახელმწიფო. ვისი სატელიტი ვიქნებით, რა მნიშვნელობა აქვს. თუ ასე გავაგრძელეთ, შეიძლება, საბოლოო ჯამში, სომხეთის სატელიტ სახელმწიფოდაც ვიქცეთ.

***— სომხეთის?***

— ჰო, რატომაც არა? ჩვენ საითკენაც მივდივართ, ჩვენი სახელმწიფო ყოველგვარ თავმოყვარეობას კარგავს. კოკოითიც კი, თავს უფლებას აძლევს, საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთოს. თავმოყვარე ერი, თავმოყვარე სახელმწიფო, კოკოითს დიდი ხნის წინ გააქრობდა.

***— როგორ გააქრობდა?***

— ამის უამრავი ხერხი არსებობს. ელემენტარულად, დაუსჯელობის სინდრომი მოქმედებს. იმ ადამიანებს, რომლებმაც ქართული მოსახლეობის გენოციდი განახორციელა, უნდა დაისაჯოს. შეიძლება იქ კოკოითზე ჭკვიანი მოვიდეს, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო სჯის იმ ადამიანებს, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის გენოციდი განახორციელა და ამ ტერიტორიაზე ეთნოწმენდა მოაწყო, გააუმჯობესებს ქართული სახელმწიფოს იმიჯს კავკასიაში და ქართველ ერს არასრულფასოვნების კომპლექსს მოუხსნის.

***— რისი დამსჯელია საქართველოს ხელისუფლება, როცა სისხლის სამართლის საქმეც კი არ აღუძრავს სეპარატისტი ლიდერების წინააღმდეგ?***

— მსოფლიო ისტორია მრავალ მეთოდს იცნობს, თუ როგორ ხდება ასეთი დამნაშავე ადამიანების დასჯა.

***— მესმის, მაგრამ საქართველოს სეპარატისტი ლიდერების წინააღმდეგ ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის მოწყობისთვის საერთაშორისო სასამართლოში სარჩელიც კი არ შეუტანია და რა დასჯაზეა ლაპარაკი?! ხელისუფლება ამბობს, თუკი მათ დაპატიმრებას მოვითხოვთ, ამით შერიგების პროცესს შეეშლება ხელი.***

— რა შერიგებაზეა საუბარი? ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც მოქმედებდა ისრაელი ფაშისტი სამხედრო დამნაშავეების წინააღმდეგ.

## სასურსათო ვაუჩერისთვის 31 429 465 ლარი გამოიყოფა

სასურსათო ვაუჩერისთვის ბიუჯეტიდან 31 429 465.0 ლარი გამოიყოფა. მთავრობის დადგენილების მიხედვით, სასურსათო ვაუჩერით ისარგებლებენ ის პირები, რომელთაც თავის დროზე ელექტროენერგიის შეღავათის ვაუჩერით ისარგებლეს, მათ შორის დევნილები.

სასურსათო ვაუჩერის განაღდება ერთჯერადად, საბანკო დაწესებულების მეშვეობით იქნება შესაძლებელი. ვაუჩერები 10 აპრილამდე დარიგდება, მისი საჩუქრად სხვა პირისთვის გადაცემა კი, 2011 წლის 1 ივლისამდე იქნება შესაძლებელი.

პროცესში ჯანმრთელობისა და სოცია-



ლური დაცვის სააგენტო იქნება ჩართული, რომელსაც საჭირო ღონისძიებების გატარება უკვე დაევალა. კერძოდ, დაბეჭდავს 30-ლარიან ვაუჩერებს, ვაუჩერის განაღდებისათვის საჭირო შესაბამისი საბანკო მომსახურების შესყიდვას გამარტივებული პროცესით განახორციელებს. საბანკო მომსახურების ღირებულება კი ვაუჩერების განაღდებით გაცემული საერთო თანხის 0,5%-ს უნდა შეადგენდეს.

ასევე, სააგენტომ ვაუჩერის გასანაღდებლად შესაბამისი საბანკო და წესებულებას ვაუჩერების საერთო ღირებულების არა უმეტეს 30%, წინასწარ უნდა გადაურიცხოს წარდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე.

სააგენტო საბანკო დაწესებულებასთან საბოლოო ანგარიშსწორებას მის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, 2011 წლის 1 აგვისტომდე მოახდენს.

იმავდროულად, სააგენტომ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, შესაბამისი კლიპებიც უნდა დაამზადოს.

რაც შეეხება საბანკო დაწესებულების ვალდებულებას, იგი გასცემს 30 ლარს, მოახდენს ვაუჩერის წარდგენის იდენტიფიცირებას და აწარმოებს საჭირო რეესტრს და ა.შ.

ამას გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მაქსიმალური დახმარება უნდა აღმოუჩინონ სააგენტოს ვაუჩერების დასარიგებლად და შესაძლებელი იქნება, თავადაც დაარიგონ.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სააგენტოს შტატგარეშე მოსამსახურეების არა უმეტეს 2650 ერთეულით გაზრდის უფლებაც მიეცათ.

რაც შეეხება თანხას, 31 429 465.0 ლარი, პროგრამიდან „სამინისტროს პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფინანსება და 2010 წელს შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა„ გამოიყოფა.

**ინტერპრესნიუსი**

## ტურიზმის განვითარებით საქართველო 73-ე ადგილზეა

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგში ტურიზმის განვითარების მხრივ, საქართველო 134 ქვეყანას შორის 73-ე ადგილზეა.

უცხოური სააგენტოების ცნობით, საერთაშორისო ეკონომიკურმა ფორუმმა გამო-



აქვეყნა მოხსენება „მოგზაურობა და ტურიზმი: კონკურენტუნარიანობა 2011".

ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან მეტნაკლებად კარგი ბიზნესგარემო თურქეთშია, რომელიც რეიტინგში 50-ე ადგილზეა. 83-ე პოზიციას იკავს აზერბაიჯანი, ხოლო სომხეთი 90-ე პოზიციას. საუკეთესო ქვეყნების ათეულში შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, შვედეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, კანადა და სინგაპური არიან.

**ინტერპრესნიუსი**

## ცაგარეიშვილმა პრეზიდენტს ტალახის აბაზანის მიღება ურჩია

წყალტუბოში, სანატორიუმ „გეოლოგში“ მცხოვრები 16 დევნილი ოჯახი მიწის ნაკვეთის დაკანონებას სოფელ ცხუმში მოითხოვს.

„თავისუფალი დემოკრატების“ ოფისში, გუშინ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ცაგარეიშვილმა წყალტუბოში მცხოვრებ დევნი-



ლებთან, გია მამარდაშვილთან, ემზარ მამარდაშვილთან, ლია ბუბუსიანთან, ასევე პარტიის წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან. მაია შალამბერიძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ფოტოები, რომელიც ასახავდა წყალტუბოში, სანატორიუმ „გეოლოგში“ დევნილთა საცხოვრებელ პირობებს, მოშლილ ინფრასტრუქტურას, საკანალიზაციო სისტემებსა და ამორტიზებულ შენობებს.

გიორგი ცაგარეიშვილი დაინტერესდა, განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და საქართველოს პრეზიდენტი, ყოფილან თუ არა წყალტუბოს სანატორიუმ „გეოლოგში“ და ჰქონიათ თუ არა შეხვედრა იქ თავიანთ ამომრჩეველთან.

დეპუტატმა პრეზიდენტს წყალტუბოში ჩასვლა და ტალახის აბაზანების მიღებაც ურჩია.

— წყალტუბო ცნობილი კურორტია ბატონო პრეზიდენტო, თავისი ბალნეოლოგიური თვისებებით და იქ კარგი ტალახის აბაზანები იციან, მიბრძანდით, იქ არის პირობები აბაზანის მისაღებად, ტალახი არც დაგჭირდებათ, მიბრძანდით თქვენი მთავრობის წევრებთან ერთად, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## „სახალხო კრება“ „შეფიცულთა“ რაზმების ამოქმედებას გეგმავს

„სახალხო კრება“ „შეფიცულთა“ რაზმების ამოქმედებას უახლოეს მომავალში გეგმავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, შეფიცულთა წარდგენა და ფიცის დადების ცერემონიალი 10 მარტს, 14:00 საათზე ჭადრაკის სასახლეში გაიმართება. შეფიცულთა ჯგუფს გია ბურჯანაძე უხელმძღვანელებს.

„სახალხო კრების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, შეფიცულთა რაზმები დედაქალაქის გარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდება, რომელთა მიზანიც ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღკვეთა და სათანადო პრევენციული ღონისძიებების გატარება იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

## ლევან ვარშალომიძემ საჯარო მოხელეები დააჯილდოვა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობისათ-



ვის საჯარო მოხელეები დააჯილდოვა. ღონისძიებას აჭარის მთავრობის წევრები, სამინისტროების, ტურიზმის, სურსათის უვნებლობისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, ასევე გამგეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მსგავსი ღონისძიება პირველად ჩატარდა, მომავალში ტრადიციულ ხასიათს მიიღებს.

**მედიანიუსი**

# საქართველო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას თანხმდება



თეა მარხვაი ე

**საქართველოს ხელისუფლება დაუღალავად გვიმტკიცებს, რომ რუსეთის მსო-ში გაწევრიანება მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. უკვე წლებია, რაც ხელისუფალნი გვპირდებიან, რომ მსო-ში გაწევრიანების სანაცვლოდ რუსეთს ბევრ რამეს დაათმობინებენ. ჩვენი თანხმობის ერთ-ერთი მთავარი პირობა ქვემო ზარემაგისა და ფსოუს საკონტროლო პუნქტების ერთობლივი გაკონტროლება იყო.**

რუსეთი ამაზე ყოველთვის უარს ამბობდა და საქართველოც, თავის მხრივ, ვეტოს უფლებას იყენებდა. ადრე საქართველოსთან ერთად რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას მხარს ამერიკაც უჭერდა. შარშან შემოდგომაზე კი შევიტყვეთ, რომ ამერიკა უკვე თანახმაა მხარი დაუჭიროს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები შარშან ამერიკაში გაიმართა. მოსკოვმა ამ მოლაპარაკებაზე ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი მიავლინა.

— ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკებები იყო საკმაოდ რთული, თუმცა ამ შეხვედრის შემდეგ ყველა სირთულე მოხსნილია. რუსეთის მსო-ში გაწევრიანების ბოლო პროცედურები 2-4 თვეში დაიწყება და დაახლოებით ნახევარ წელიწადში დასრულდება. შესაბამისად რუსეთი მსო-ს სრულფასოვანი წევრი 10 თვეში გახდება, — განაცხადა რამდენიმე თვის წინ კუდრინმა.

მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბარაქ ობამამ თავის რუს კოლეგას პირობა მისცა, მსო-ში გაწევრიანებაში დაგეხმარებითო.

ამ განცხადებას ჩვენს ხელისუფლებაში დიდი ჟრიამული მოჰყვა. ნაციონალები აშკარად შეშფოთდნენ, თუმცა ხმამაღლა ამერიკის გალანძღვას ვინ გაბედავდა. საინტერესოა ისიც, რომ იმ მომენტისთვის ჩვენი პრემიერი ამერიკაში იმყოფებოდა, სადაც მან რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა.

მან თავიდან ძალიან მრისხანე ტონით განაცხადა, რომ საქართველო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას არ დაუშვებდა. ჩვენი პრემიერი ვეტოს გამოყენების უფლებითაც კი იმუქრებოდა.

იმავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გილაურმა მეორე განცხადებაც გააკეთა. ჩვენმა პრემიერმა თქვა, რომ საქართველო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ხელს არ შეუშლის.

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის ორგანო, რომელიც ურთიერთობის წესებს ადგენს და მასში გაწევრიანება რუსეთს უფრო ცივილიზებულს გახდის. საქართველო მიაღწევს ქართული ტერიტორიების დეოკუპაციას და ამაში ამერიკა დაეხმარება, თუმცა არ დაუკავშირებს ამ საკითხს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, — განაცხადა გილაურმა.

მანამდე კი „ასოშეიტედ პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იმუქრებოდა, რუსეთს მსო-ში გაწევრიანებას არ ვაღირსებთო.

როგორც ჩანს, ამ თემაზე საუბარი ჩვენს ხელისუფლებას დიდად არ აწყობდა. ამიტომაც ეს თემა მიაჩუმათეს. ოღონდ ვერ გეტყვით, ვისი ხათრით დუმდნენ, ამერიკელების თუ რუსების.

მსო-ზე ერთი ორი „სმეშნოი“ კომენტარი ნაციონალებმა იაპონიის აღშფოთების შემდეგ გააკეთეს. გემახსოვრებათ, რუსეთმა და იაპონიამ ერთმანეთს სერიოზულად რომ დააყარეს კურილიის კუნძულების გამო, სადაც დიმიტრი მედვედევმა მოულოდნელად მოინდომა ჩასვლა.

იაპონიამ რუსეთიდან თავისი ელჩი სასწრაფოდ გაიწვია. ტოკიო კი იმით დაიმუქრა, რომ მსო-ში რუსეთის გაწევრიანებას ვეტოს დაადებდა. ამ ცნობას ჩვენი ხელისუფლება დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. უბრალოდ დაგვპირდნენ, რომ რუსეთი ვიდრე საქართველოს ტერიტორიებს არ დააბრუნებდა, მსო-ს ვერ ეღირსებოდა.

ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან ამ და სხვა თემებზე მოლაპარაკებების გამართვაზე ცივ უარს ამბობდა. ის პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთში ჩადიოდნენ, მოღალატეებად გამოაცხადეს.

წინა კვირაში საქართველოს პატრიარქმა ხელისუფლებას ურჩია, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების პროცესი დაეწყო. ეს რჩევა ნაციონალებს არ მოეწონათ. მათ ისევ ტრადიციური ისტერიკა მოაწყვეს.

ამ დროს კი ცნობილი ხდება, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებებს დაიწყოს. ამის შესახებ

### რას მოგვიტანს ბაიდენის მოსკოვში ვიზიტი?




ინფორმაცია გამოცემამ „ფორეინგ პოლისი“ აქვეყნებს.

პარასკევს გამართულ ბრიფინგზე თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ თბილისი და მოსკოვი მოლაპარაკებებს იწყებენ.

— რუსეთ-საქართველოს ომიდან სამი წლის შემდეგ ამ ორმა ქვეყანამ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანების განაცხადთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყო, — განაცხადა თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა, თუმცა ამერიკის მთავრობა ამ დისკუსიებში არ მონაწილეობს.

როგორც გამოცემა იუწყება, წელს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე განაცხადი მოლაპარაკებების მთავარი თემა იქნება, როდესაც მომავალ კვირას მოსკოვს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ეწვევა. ობამას ადმინისტრაცია აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას და ამ მიმართულებით ამერიკულ დახმარებას რუსულ-ამერიკული ურთიერთობების □„გადატვირთვის“□ ნაწილად განიხილავს, მაგრამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ საქართველოს შეუძლია ჩაშალოს რუსეთის გაწევრიანება და მართალია თეთრი სახლი ამ ორი მტრის ურთიერთობაში ერთგვარ პროგრესს ხედავს, აშშ-ს ადმინისტრაციას აღნიშნულ დიალოგში მონაწილეობა არ სურს.

— ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობდით ჩვენს რუს კოლეგებთან, რომ დავხმარებოდით მათ ამ მრავალმხრივ პროცესში, რათა მათ წელს მიეღწიათ საკუთარი მიზნისა და მსო-ში გაწევრიანებისთვის, — განაცხადა პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე უშიშროების ეროვნული საბჭოს რუსეთის საკითხების დირექტორმა მაიკლ მაკფოლმა.

მაკფოლმა აღიარა, რომ რუსეთი ვერ გაწევრიანდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მანამ, სანამ ამას საქართველო არ დათანხმდება და დასძინა, რომ ის ამ ფრონტზე გარკვეულ წინსვლას ხედავს.

— რა თქმა უნდა, რუსეთს და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული ისეთი საკითხები რჩება, რომელიც უნდა გადაწყდეს, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს. მე არ მინდა შედეგების წინასწარმეტყველება, რადგან ამ დიალოგში ჩვენ არ ვმონაწილეობთ, — ამბობს მაკფოლი.

„ფორეინგ პოლისის“ ცნობით, მაკფოლი მტკიცედაა განწყობილი იმ თვალსაზრისით, რომ შეერთებული შტატები არ მიიღებს მონაწილეობას ისეთ ძალისხმევაში, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ რუსეთი და საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საკითხზე შეთანხმდნენ.

— ამის გაკეთებას არ ვაპირებთ, ბოლოს და ბოლოს, ეს ორმხრივი საკითხია და არა სამმხრივი, — ამბობს თეთრი სახლის წარმომადგენელი.

ზოგიერთების აზრით, ვინც არაოფიციალურ ინფორმაციას ფლობს, ეს ობამას ადმინისტრაციის გზავნილია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ის, რომ რუსეთის და საქართველოს ხელისუფლებებს მსო-ზე შეთანხმებისკენ აშშ-ს პირდაპირი ჩარევის და ზეწოლის გარეშე უბიძგონ.

მაკფოლმა განაცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს სურს დისკუსიების ფორმატი ისე შეიზღუდოს, რომ ისინი მიმართული იყოს კონკრეტულად იმ ეკონომიკური და სავაჭრო საკითხებისკენ, რომლებიც რუსეთის გაწევრიანებისთვის აუცილებელია და ის უფრო მასშტაბურ დებატებში არ გადაიზარდოს.

გამოცემა კითხულობს, თუ რა სურს საქართველოს. საქართველოს სურვილების შესახებ ის ნიკა გილაურისგან შეიტყობს, რომელმაც გამოცემას „ერუ სფიდუ“-ს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. ეს ის გილაური გახლავთ, რომელმაც მსო-სთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა.

გილაური უცხოურ გამოცემას იმ საკითხებზე ესაუბრება, რომლის შესრულების შემთხვევაშიც საქართველო აღარ გამოიყენებს ვეტოს უფლებას.

— არსებობს რამდენიმე პირობა იმისთვის, რომ საქართველომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას მხარი დაუჭიროს. წინასწარი პირობაა რუსეთის მხრიდან იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც მოსკოვმა 2004 წელს გაწევრიანებაზე ხელმოწერილ ჩვენს ორმხრივ პროტოკოლში საკუთარ თავზე აიღო, ასევე საბაჟო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დაურეგულირებელი არალეგალური ვაჭრობისა იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს და მსო-ს წესებს ეწინააღმდეგება. რუსეთი უნდა გახდეს იმ ორგანიზაციის წევრი, რომელიც გარკვეულ წესებს ეფუძნება იმ შემთხვევაში, თუკი ის პატივს სცემს სავაჭრო კანონმდებლობას, — განაცხადა ჩვენმა პრემიერმა.

როგორც „ფორეინგ პოლისი“ აღნიშნავს რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვრების დადგენა ძალიან რთული პროცესი იქნება. ცოტა ხნის წინ ჩვენმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველო არასდროს დათანხმდება თავისი საზღვრების გადახედვას.

რუსეთს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება აქვს. აბა, ტყუილად ხომ არ აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

რამდენიმე დღეში რუსეთს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ეწვევა, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ის მისი პირადი მეგობარია.

ხელისუფლება და მისი მოყვარული ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამერიკა ისევ ძველებურად უჭერს მხარს საქართველოს. მათი მტკიცებით, არაფერს არ ნიშნავს გადატვირთვის პოლიტიკა. თუმცა ამჯერად ოპტიმისტები ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე ელიან მოსკოვში ბაიდენის ვიზიტს.

„ფორეინგ პოლისი“ ვარაუდობს, რომ ბაიდენმა შესაძლოა რუსებს უთხრას, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია ჯექსონ-ვენიკის შესწორების თანახმად მოქმედ სავაჭრო შეზღუდვებს გააუქმებს. ეს შეზღუდვები 1974 წელს საბჭოთა კავშირზე ზეწოლის მიზნით იმისთვის ამოქმედდა, რომ მას ებრაული იმიგრაცია დაეშვა.

— ჩვენ უახლოეს მომავალში ვაპირებთ ჯექსონ-ვენიკის შესწორების ლიკვიდაციას, — განაცხადა მაკფოლმა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მრჩევლის მოადგილე ტონი ბლინკენი კი დასძენს, რომ ამ საკანონმდებლო აქტის გაუქმებას კონგრესის მხარდაჭერა სჭირდება.

— ამიტომ თეთრი სახლი დარწმუნებით ვერ იტყვის, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდება. ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც თეთრი სახლი უბრალოდ ხელს დააჭერს ღილაკს და ყველაფერი გაკეთდება, — განაცხადა ტონი ბლინკენმა.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი რუსეთს ზეგ ეწვევა. ის რუსეთის პრემიერსა და პრეზიდენტის გარდა სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებსაც შეხვდება.ვიზიტის ფარგლებში განსახილველ საკითხებში მსო-ს შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ანტისარაკეტო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა იქნება.

ამ საკითხზე შეერთებული შტატები რუსეთთან მოლაპარაკებებს დიდი ხანია რაც აწარმოებს, მაგრამ ვაშინგტონში უმრავლესობა ამ საქმეს სკეპტიკურად უყურებს, ვარაუდობს რა, რომ ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის ამერიკულ სისტემასთან დაკავშირებით რუსეთი საკუთარ პრეტენზიებს არ მოხსნის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაციონალები ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე ელოდებიან მოსკოვში ბაიდენის ჩასვლას. წინასწარ რაიმე პროგნოზების გაკეთებას აზრი არა აქვს. რადგან, როგორც არ უნდა დასრულდეს ეს მოლაპარაკებები, მაინც იტყვიან, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. იმასაც აუცილებლად იტყვიან, რომ შეხვედრა იმაზე უკეთესი შედეგით დასრულდა, ვიდრე ეს საქართველოს სჭირდებოდა.

არც ის არის გამორიცხული, რუსეთის მსო-ში გაწევრიანება დიდ მიღწევად ჩათვალონ და ეს დღეც გვაზეიმონ. ისე, რუსეთი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას 1993 წლიდან ცდილობს.

# ამერიკა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ისევ უჭერს მხარს

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ოთხშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ გამართა. ვაშაკიძემ საგარეო საქმეთა სამინისტროს გასული კვირის მუშაობა შეაჯამა და მიმდინარე კვირის გეგმებზე ისაუბრა.**



უახლოეს მომავალში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი მოსკოვში ჩადის. გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკა-რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში, ამერიკა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობას აძლევს, რისთვისაც საქართველოს მხარდაჭერა სჭირდება რუსეთს.

აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები რუსეთ-საქართველოს შორის ჯერ არ არის დაწყებული. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ამ მოლაპარაკებებს პრემიერ-მინისტრის აპარატი წარმართავს და მას თამარ კოვზირიძე უხელმძღვანელებს.

კულუარული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სთხოვს, რუსეთის ფედერაციას მისცეს თანხმობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის.

ექსპერტების განცხადებით, საქართველოსთვის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თანხმობა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი კოზირია და ეს კოზირი საქართველოს ხელისუფლებამ შესაბამისად უნდა გამოიყენოს.

როგორ წარიმართება მოლაპარაკებები და რა იქნება მოლაპარაკების მაგიდასთან გაწევრიანების თანხმობის სანაცვლოდ მოთხოვნილი, ეს საკითხი ჯერ უცნობია.

ქართველი ექსპერტების განცხადებით, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება იმ დონის საკითხია, რომ ქართულმა მხარემ რუსეთს მისი ჯარის გასვლის საკითხი უნდა მოსთხოვოს საქართველოს ტერიტორიიდან.

რა პირობა იქნება წაყენებული ქართული მხრიდან რუსეთისთვის სანაცვლოდ, ვიმეორებ, უცნობია.

ნიკოლოზ ვაშაკიძე ჟურნალისტებთან საუბრისას ადასტურებს, რომ რუსეთის მხრიდან აღნიშნულ მოლაპარაკებებზე მოწვევა უკვე მიუვიდა საქართველოს ხელისუფლებას.

— რუსეთის მხრიდან მოვიდა ოფიციალური ინიციატივა მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ქართული მხარე ყოველთვის აცხადებდა მზადყოფნას მოლაპარაკებებზე. საქართველოს დელეგაცია 9-10 მარტს გაემგზავრება ბერნში ამ მოლაპარაკებებზე. რაც შეეხება პოზიციის დეტალებს, ამაზე მოლაპარაკებების წინა პერიოდში საუბარი არ არის მიღებული და სწორი არ იქნება. მოლაპარაკებებს აწარმოებს პრემიერ-მინისტრის აპარატი, — განაცხადა ვაშაკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვაშაკიძემ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კარასინის განცხადებას ეხებოდა.

გრიგორი კარასინმა დაადასტურა, რომ სამხრეთ ოსეთში განლაგებულია საზენიტო დანადგარი ე.წ.„ტოჩკა.უ“-ს სისტემა.

— კარასინმა მართლაც დაადასტურა ეს ფაქტი, ჩვენი აზრით იმიტომ, რომ ამ ამაზრზენი ფაქტის უარყოფა უკვე შეუძლებელი იყო, იმდენად ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. კარასინი შეეცადა უსუსური არგუმენტები მოეყვანა, თითქოს „ტოჩკა.უს“ დანადგარი რაღაც საწვრთნელი მიზნებისთვის და დროებით არის შემოყვანილი. ეს კომენტარი მხოლოდ ღიმილს იწვევს, მაგრამ ფაქტია, რომ მან ეს დაადასტურა. იმის გათვალისწინებით, თუ რა საშიშ იარაღს წარმოადგენს აღნიშნული დანადგარი, ძალიან სერიოზულ რეაგირებას საჭიროებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ქალაქების მშენებლობას, ამაზე სისტემატიურად ამახვილებს ყურადღებას ქართული მხარე და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ბუნებრივია, ეს ფაქტები არ მეტყველებს კარგზე, მე ვგულისხმობ სამხედრო აღმშენებლობას, რომელიც იქ არის. ეს მეტყველებს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ განწყობებსა და გეგმებზე. ბუნებრივია, ამ ფაქტებს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას ვაპყრობთ, — აღნიშნა ნიკოლოზ ვაშაკიძემ.

გასულ კვირას ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ჟენევის მოლაპარაკებებს, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანი პროგრესი არ მოჰყოლია.

როგორც ცნობილია, ქართულმა მხარემ სამი ძირითადი საკითხი დააყენა. პირველი საკითხი ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებას. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების დაარსების აუცილებლობას და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

— სამწუხაროდ, რუსეთის მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, არც ერთ საკითხზე პროგრესი არ იქნა მიღწეული. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ბატონმა გორდონმა მკაფიოდ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კიდევ ერთხელ სრულიად მკაფიოდ, რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხდება, ოკუპაცია უწოდა. მართალია ეს არ არის ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაში ახალი, მაგრამ კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა ამ პოზიციის, — განაცხადა ვაშაკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სამუშაო ვიზიტით იმყოფება შვეიცარიის კონფედერაციაში. ვიზიტის ფარგლებში ვაშაძე შეხვედრას გამართავს შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალურ პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

შეხვედრაზე განხილული იქნება საქართველო-შვეიცარიის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები.

საგარეო საქმეთა სამინისტროში კიდევ ერთხელ გაკეთდა მალაიზიაში დაკავებული ქალბატონების სასამართლო პროცესზე განცხადება.

ვაშაკიძის ინფორმაციით, სასამართლო ექსპერტიზა ჯერ არ არის დასრულებული და შესაბამისად განაჩენი ცნობილია არ არის.

— მალაიზიაში სასამართლო პროცესი იურიდიული თანმიმდევრობით მიმდინარეობს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქალბატონ გორდაძის საქმეზე მოსმენა დანიშნულია. სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის პასუხს ელოდება. ამის შემდეგ წარიმართება შესაბამისი სასამართლო სხდომა, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გაკეთდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, დავით მარდიანის საქმეს ეხება. მარდიანების ოჯახი დავით მარდიანის საქმეში სახელმწიფოს ჩართვას ითხოვს. მათი თქმით, მათ შვილს თავი არ მოუკლავს. ისინი აქციებს მართავენ გერმანიის საელჩოსთან.

— მარდიანების ოჯახთან საგარეო საქმეთა სამინისტრო თანამშრომლობს. ოფიციალური ნაბიჯი, რაც საჭირო იყო საქმიდან გამომდინარე და შესაბამისი მოთხოვნა გერმანიაში უკვე გაგზავნილია. ეს ინფორმაცია აქვს მარდიანების ოჯახს. ოჯახის უფლებაა საპროტესტო აქცია გამართოს იქ, სადაც ის თვლის საჭიროდ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე იქნება მიყვანილი და მთლიანად იქნება ამოწურული, — იმედს გამოთქვამს ვაშაკიძე.


## ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი დამატებით აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს 2911 წლის 7 მარტიდან აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

**1. სამართლის მიმართულებით:**
ა) სრული პროფესორი — 1; ბ) ასოცირებული — პროფესორი — 2; გ) ასისტენტ — პროფესორი — 2;
**2. სოციალურ მეცნიერებებში**
***ა) ეკონომიკის მიმართულებით:***
ა) ასოცირებული—პროფესორი — 3; ბ) ასისტენტ — პროფესორი—3;
***ბ) ფინანსების მიმართულებით:***
ა) სრული პროფესორი — 1; ბ) ასოცირებული — პროფესორი— 2; გ) ასისტენტ — პროფესორი — 2;
**3. ჯანდაცვაში**
***ა) სტომატოლოგიის მიმართულებით:***
ა) სრული პროფესორი — 1; ბ) ასოცირებული — პროფესორი — 2; გ) ასისტენტ — პროფესორი — 2;
**4. საინჟინრო მეცნიერებებში**
ა) კომპიუტინგი/ინფორმატიკის მიმართულებით:
ა) სრული პროფესორი — 1; ბ) ასოცირებული — პროფესორი — 1; გ) ასისტენტ — პროფესორი — 3;
**5. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში**
***ა) ისტორიიის მიმართულებით***
ა) სრული პროფესორი — 1; ბ) ასოცირებული — პროფესორი — 3; გ) ასისტენტ — პროფესორი — 2;

საბუთების მიღება იწარმოებს **2011 წლის 10 აპრილიდან 2011 წლის 28 აპრილამდე** (კვირის გარდა) 10.00 სთ-დან 16 სთ-მდე მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. ჰ15, ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიის, ადამიანური რესურსების მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურში;

კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ 2011 წლის 30 და 31 მაისს, კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2011 წლის 2 და 3 ივნისს;

1. პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ინფორმაციის) ანალიზი და შეფასება (პირველ ეტაპზე გასული კონკურსანტების მონაცემები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ცცც.რუნვფკგტშ.უვგ.პუ 2011 წლის 1 ივნისს)

**მეორე ეტაპზე გასულად ჩაითვლება ყველა კონკურსანტი რომლის მიერაც სრულყოფილად და სწორად იქნება წარმოდგენილი ყველა საკონკურსო დოკუმენტაცია;**

2. მეორე ეტაპზე მოხდება პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება (გასაუბრება შესაძლებელია განხორციელდეს ინტერვიუების სახით ტექნიკური საშუალებებით).

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე **www.heydaruni.edu.ge**, კონკურსის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნები და ხელშეკრულების დადება განხორციელდება შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

დაინტერესებულ პირებს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სალექციო კურსების ჩამონათვალი, შეუძლიათ იხილონ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: **www.heydaruni.edu.ge**, ან მობრძანდნენ სასწავლო უნივერსიტეტში.

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეფონის ნომრებზე: 51-94-62. (825) 72-42-00 და ვებ-გვერდის მეშვეობით www.heydaruni.edu.ge**


# სააკაშვილი ოპოზიციისთვის სისხლიან სცენარს ამუშავებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

უკან მდგომი ძალებისთვის დღეს, რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლება უალტერნატივო არ არის, იმიტომ, რომ სააკაშვილის უკან მდგომმა ძალებმა არა მხოლოდ ხელისუფლება დაიპყრო საქართველოში, არამედ ოპოზიციაც. ამიტომ რჩება ყველა ნაბიჯზე შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი და ოპოზიცია გაურიგდნენ ერთმანეთს. რაღაც საკითხებში ისინი ერთმანეთს ურიგდებიან, ხოლო რაღაც საკითხებში მათ ერთი ძალა მართავს. თუ ხვალ სააკაშვილი რაიმე მიზეზით აღარ იქნება ხელისუფლებაში, ეს ისეთ საფრთხეს აღარ წარმოადგენს მის უკან მდგომი ძალებისთვის, რადგან შემცვლელის ადგილი დაკავებული აქვს ზუსტად სააკაშვილისნაირი და მისი ძალისნაირი ძალების მიერ. განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ რამეში, რომ მომავალი პრეზიდენტი შეიძლება აღარ მიირთმევდეს საკუთარ ჰალსტუხს, თუმცა, ზუსტად იგივე უფსკრულისკენ წაიყვანს ქვეყანას. ამ შემთხვევაში სააკაშვილის უკან მდგომი ძალა აბსოლუტურად წაუგებელ თამაშს თამაშობს.

— ***ძირითადად რევოლუციაზე დღეს ქართული პარტია და ნინო ბურჯანაძე საუბრობენ...***

— მე წარმატებას ვუსურვებ ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომელიმე ამის გაკეთებას რეალურად აპირებდეს. თქვენ გინახავთ სადმე რევოლუციონერი, რომელიც დღეს რიცხვს და საათს ასახელებს, როდის უნდა დაიწყოს რევოლუცია და როდის უნდა დაამთავროს?! მე როცა ასეთ განცხადებას ვაკეთებ, რომ ვარ გადატრიალების მომხრე, მე რომ ეს გეგმა მქონდეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ხელისუფლებას არ მივმართავ, რომელ რიცხვში იყოს საამისოდ მზად. როცა ეროსი კიწმარიშვილი, რომელიც რასაც წარმოადგენს და რა როლიც აქვს შესრულებული უახლეს ისტორიაში, ყველამ მშვენივრად ვიცით, გამოდის და თითს უქნევს ხელისუფლებას და ეუბნება, ამ გაზაფხულზე ბოლოს მოგიღებ და მერე ზაფხულში დასასვენებლად წავალთო — ასეთი განცხადებები, როგორც წესი, საქმის გამკეთებელი ადამიანებისგან არ კეთდება და როგორც წესი, ეს განცხადებები უფრო პიარია და ეს პიარი ოპოზიციის გარდა სჭირდება სააკაშვილს, რომ ვითარება დაიმუხტოს და მას საბაბი მიეცეს კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად. ასევე მას მიეცეს საშუალება, საგანგებო ვითარებაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა. მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ ვანო მერაბიშვილი შეიძლება გადავიდეს ოპოზიციაში და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი არის სისულელე. ეს არის ისევ ხელისუფლების მიერ გავრცელებული ძალიან სასაცილო ჭორი, ყოველ შემთხვევაში, გონიერი ადამიანებისთვის. სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი სიმბიოზია, ანუ ეს არის ორი პარაზიტი, რომელიც ერთმანეთის ხარჯზე არსებობს და ურთმანეთოდ ხელისუფლებაში ყოფნას ვერც ერთი ვერ შეძლებს.

— ***ასევე ბოკერიას და სააკაშვილის დაპირისპირებაზე საუბრობენ...***

— სისულელეა. ეგ ყველაფერი არის სისულელე. როგორც არ უნდა ვაგინოთ და ვლანძღოთ, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ხელისუფლებამ ერთ რამეში ხუთიანზე შეასრულა ყველაფერი. რა თქმა უნდა, ხელისუფლების შიგნით არის დაპირისპირებები, ქონებას ვერ იყოფენ, ძალაუფლებას ვერ იყოფენ, ყველაფერზე ხდება დაპირისპირება, მაგრამ როცა საქმე შეეხება ძალაუფლებას მთლიანობაში და როცა საქმე შეეხება ამ ხელისუფლების ყოფნა-არ ყოფნას, გიგა ბოკერიამაც, ვანო მერაბიშვილმაც, გივი თარგამაძემაც, სულ ყველამ, ვისაც თვითონ არ გააგდებს სააკაშვილის მთავრობა, მან ძალიან კარგად იცის, რომ მას ხელისუფლებაში დარჩენის შანსს არც ერთი სხვა ძალა არ მისცემს.

— ***გარდა რევოლუციურად განწყობილი პარტიებისა, არიან პარტიები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით აპირებენ...***

— ეს პარტიები ელოდებიან დარბევას. მათ მშვენივრად იციან, რითაც შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი, მათ აიღეს სააკაშვილთან გარიგების სხვა გზა, ქუჩის ოპოზიცია გაურიგდა სხვანაირად და თარგამაძის და ალასანიას კატეგორია ელოდება თეთრი ხელთათმანებით საქმეში ჩარევას. ეს ძალები ყველა ერთნაირად მიუღებელია.

# ურეიტინგო ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ შეცვლის

## ხელისუფლება პირობას დებს, რომ „მარშრუტკით“ მგზავრობის ფასი არ გაიზრდება

ქეთი ხომერიკი

**ინტერვიუ „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერ, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე, შოთა მალაშხიასთან**

***— უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ საქართველოს და რუსეთის ხელისუფალთ დიალოგისკენ მოუწოდა, თქვენი აზრით, გაითვალისწინებს და გაუწევს თუ არა ანგარიშს რუსეთის ხელისუფალი პატრიარქის თხოვნას?***

— სასურველია და კარგი იქნება, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ეს მოწოდება გაითვალისწინოს, რადგან ამდაგვარ განცხადებას აკეთებს საქართველოს ხელისუფლებაც. ხელისუფლებას უნდა სწორედ დიალოგი რუსეთთან, დიალოგი, რომელიც დეოკუპაციას, ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას და დევნილების დაბრუნებას გულისხმობს, თუმცა, რეალობა აბსოლუტურად სხვანაირია. რეალობა არის ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიზე, როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში, პრაქტიკულად, კულტურული გენოციდი და ქართული კვალის წაშლა მიმდინარეობს და ეს ხდება, როგორც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მეშვეობით, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით. ამიტომ პატრიარქის, საქართველოს პრეზიდენტის და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევას ჯერჯერობით შედეგი არ მოაქვს, მაგრამ მთავარია, რომ ეს არის ერთიანი პოზიცია, როგორც სახელმწიფოსი, ასევე საეკლესიო ლიდერის და ხვალ თუ არა ზეგ ამას შედეგი, აუცილებლად, მოჰყვება, რადგან არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ეთნოწმენდა მომხდარ რეგიონს ვინმემ დამოუკიდებელი სახელმწიფო დაარქვას. ამიტომ რუსეთს ამის გათვალისწინება აუცილებლად მოუწევს და კარგია, რომ ჩვენ შემთხვევაში ერი და ბერი ერთი მიმართულებით დგამს ნაბიჯებს.

***— რუსი ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტის განმეორების ალბათობა დიდია, კონფლიქტის ერთ-ერთი საბაბი შესაძლოა სოჭის ოლიმპიადა გახდეს, ეს რამდენად მოსალოდნელია და საქართველოს ხელისუფლება რამდენად ცდილობს საფრთხეების თავიდან აცილებას?***

— სამხედრო კონფლიქტის განმეორება რუსეთის ხელისუფლების სურვილი ნამდვილად არის და ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ საქართველო იყო ის ერთადერთი შემთხვევა, სადაც საბჭოთა რუსეთმა ხელისუფლების გამოცვლა მოინდომა, ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა და ხელისუფლება ვერ შეცვალა. ამიტომ ცხადია, რომ მოსკოვს ეს ფაქტორი აღიზიანებს, თუმცა, მეორეა, რომ საერთაშორისო მექანიზმი სერიოზულად არის ჩართული და ძალისხმევა საქართველოს მოსახლეობის, ხელისუფლების და აბსოლუტურად ყველასი ერთიანია. სამხედრო კონფლიქტის ალბათობა განხორციელების თვალსაზრისით ნაკლებად წარმოსადგენია, თუმცა, შესაძლებლობები და სურვილები რუსეთის მხრიდან ამ თვალსაზრისით რეალურად არსებობს.

***— და რამდენად არის სახელმწიფო საზღვრები დაცული?***

— ჩვენ გვინდა, რომ საზღვრის დაცვის თანამედროვე სისტემები გვქონდეს, ანუ ის სისტემები, რომლებიც ევროპაშია. ამიტომ ამ თვალსაზრისით, იგივე სარადარო საფრენ საშუალებებთან, იგივე გადაადგილების საშუალებებთან



დაკავშირებით სიტუაცია ექვემდებარება კონტროლს. ჩვენს პრობლემას ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს, რადგან იქ არანაირი კონტროლი არ არის. ამიტომაც სწორედ იქ ხდება ნარკოტიკების გასაღება, ნარკოტრეფიკინგი, იქ არის იარაღით ვაჭრობაც, შესაძლებელია ბირთვული იარაღის ნარჩენებითაც და აშშ-ს დეპარტამენტის განცხადებაშიც სწორედ ამ საკითხზე არის გამახვილებული ყურადღება და სხვათა შორის, ამ საკითხზე უფრო ადრე გაეროს ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტი საუბრობდა. აი, ამ პრობლემიდან გამომდინარეც საჭიროა, რომ საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რაც შეიძლება მალე გადაწყდეს. იქ უნდა ჩაერთოს საერთაშორისო კომპონენტი, ევროკავშირი, რომ ამ რეგიონზე კონტროლი საერთაშორისო მექანიზმების ჩართულობის დონეზე აღდგეს.

***— ეს რამდენად შესაძლებელია?***

— ეს არის საქართველოს ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების სურვილი და ერთ მხარეს საკმაოდ ბევრი ძალაა და მეორე მხარეს არის მხოლოდ რუსეთი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელი იქნება. საუბარია, რომ მოხდა ეთნოწმენდა, ანუ დანაშაული კაცობრიობის წინაშე და ამაზე რეზოლუციები ევროკავშირში, ნატოში და გაეროს ასამბლეაზე უკვე მიღებულია. ეს მალევე გადავა ქმედებაში და ამ რეზოლუციებს მოჰყვება კიდეც კონკრეტული გადაწყვეტილებები, რადგან ეს დანაშაული აღკვეთილ უნდა იქნეს.

***— თუმცა, რუსეთი არაფრად აგდებს სხვადასხვა რეზოლუციებს... რა კონკრეტული გეგმა აქვს ხელისუფლებას დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?***

— ხელისუფლების ერთ-ერთი მიდგომა რუსეთთან საერთაშორისო ჩართულობის დონეზე დიალოგია. ეს ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ზეწოლის შემცირებას. მეორე მიდგომაა რუსეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესრულება და აქაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ვართ სრულ უნისონში, რომ ამ ტერიტორიების დეოკუპაცია დაიწყოს. მესამეა პრობლემები თვითონ აფხაზებთან და ოსებთან და ის შეთავაზება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აფხაზების და ოსების თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით აქვს არის ის მაქსიმალური, რაც შეიძლება ამ ეთნოსებს შევთავაზოთ. ჩვენ, ღია ვართ ამ თვალსაზრისით და პრობლემას არ წარმოადგენს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის დონეზე ეს პრობლემა გადაწყდეს, მაგრამ ერთია რუსეთის ხისტი და ჯიუტი პოლიტიკა. ის არ ეგუება ფაქტს, რომ მან საქართველოსთან სამართლებრივი ომი წააგო, მაგრამ ხვალ და ზეგ შეგუება, აუცილებლად, მოუწევს. დაიწყება თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკის ოდნავ მაინც შეცვლა, ეს პოლიტიკა მაშინვე იმ შედეგს გამოიღებს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ელოდება.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთის მხრიდან რაიმე დათმობებს და თუნდაც, სხვადასხვა რეზოლუციების შესრულებას ადგილი ექნება, კრემლი ხომ ყურსაც არ იბერტყავს...***

— რუსეთს სხვა გზა არ აქვს. დღეს, რუსეთს ოკუპანტს ეძახიან, აქამდე მას ოკუპანტს არ ეძახდნენ და იგივე ძალები, რომლებიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დგანან ამ ტერიტორიებზე გაცილებით მეტს აკონტროლებდნენ წინა ხელისუფლების ბედოვლათობის გამო და მათ სამშვიდობო ძალები ერქვათ. ყოველ 6 თვეში ერთხელ გაერო, ევროკავშირი, თუ ეუთო მათ იქ ოკუპაციის გამო მადლობას უხდიდა, რადგან სამართლებრივად ეს ასე იყო გაფორმებული. დღეს კი ამ ტერიტორიებს ოკუპირებული ტერიტორიები ჰქვია და იქ მყოფ ჯარს კი — ოკუპანტი.

***— კარგით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია და პროდუქტზე ფასები ყოველდღე მატულობს, რით არის ფასების ზრდა გამოწვეული, როგორ აპირებთ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, მოსახლეობის ყოფის შემსუბუქებას, მათ ხომ მხოლოდ ვაუჩერები არ უშველით...***

— იცით, მსოფლიო კრიზისია და ნავთობის ფასი არ რეგულირდება. გარდა ამისა, არის სასურსათო კრიზისიც და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საქართველოზეც მოქმედებს. ჩვენი მიდგომა არის ორნაირი: პირველი არის გრძელვადიანი და მეორე, ასე ვთქვათ, მოკლევადიანი, ანუ ე.წ. ცეცხლის ჩაქრობის პრინციპი. გრძელვადიანში სოფლის პროგრამა, სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიონის გამოყოფა შედის. ჩვენ, ამ პროგრამების ამოქმედებას ვერ დაველოდებით, რადგან ჩვენი მოსახლეობის სერიოზულ ნაწილს პრობლემები აქვს, ამიტომაც იმ ფარგლებში, რაც ქვეყნის ეკონომიკას არ დაანგრევს და მოსახლეობის მდგომარეობას მეტად არ გააუარესებს, ხდება სუბსიდირება პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით. ეს არის იგივე ვაუჩერები.

***— ხელისუფლება გამუდმებით სამუშაო ადგილების შექმნაზე საუბრობს და ამავდროულად, დღეს დასაქმებულ ადამიანებს, ფაქტობრივად, უმუშევარს ტოვებს, სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებს ვგულისხმობ...***

— ჩვენ გვაქვს როგორც ხელისუფლების, ასევე იმ ფირმების პოზიცია, რომლებიც საუბრობენ, რომ არც ერთი მძღოლი სამსახურს არ დაკარგავს. ის მოსახლეობა, რომელიც ამ „მარშრუტკებით“ გადაადგილდება, მომსახურების უკეთეს სერვისს ითხოვს. ის „მარშრუტკები“ კი ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობენ. ამიტომ ეს უნდა უზრუნველყონ იმ ფირმებმა, რომლებმაც ტენდერი მოიგეს და მათ ასევე უნდა უზრუნველყონ ის, რომ მძღოლები გადასვან ახალ სამარშრუტო ტაქსებზე და უზრუნველყოფილნი იყვნენ იგივე პირობებით თუ არა უკეთესით და ეს აუცილებლად ასე უნდა გაკეთდეს.

***— კი, მაგრამ თუ მძღოლების ყოველდღიური გადასახადი გაიზრდება, ისინი ვერ გადაიხდიან და შესაბამისად, უმუშევრები დარჩებიან, ხალხი კი მომსახურების უკეთეს სერვიზს ითხოვს და არა მგზავრობის ფასის გაზრდას, მგზავრობის ფასი გაიზრდება?***

— მგზავრობის ფასი, ალბათ, ბენზინზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ აქ არ უნდა გაჩნდეს სპეკულაციური ფასი, ანუ მგზავრობის ფასი ვიღაცის ზედმეტი მოგებისთვის არ უნდა გაიზარდოს და ამის გაკონტროლების საშუალება ხელისუფლებას აქვს და გააკონტროლებს კიდეც, ან შემოიღებს „მარშრუტკების“ ალტერნატივას, ანუ დამატებით ავტობუსებს დანიშნავს და ასეთი კონკურენციის უნარში „მარშრუტკები“ გაზრდილი ფასებით ვერ იმუშავებენ.

***— და კიდევ ერთი, ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ ახლო აღმოსავლეთის რევოლუციური ტალღა საქართველოსაც მოსწვდება, ელით თუ არა ქვეყანაში მდგომარეობის დაძაბვას?***

— მათი მხრიდან ასეთი განცხადებები არაერთგზის მოგვისმენია, ისევე როგორც

კონკრეტული ციფრები, ამ მარტში, იმ მარტში, შევცვლით ხელისუფლებასო, თუმცა... ეს ყველაფერი საქართველოში დამთავრდა.

***— თუმცა, მაშინ ქვეყანაში ამ დონის კრიზისი და მწვავე სოციალური ფონი არ ყოფილა...***

— ვიმეორებ, ეს ყველაფერი დამთავრებულია. მოსახლეობამ მშვენივრად იცის, რეალურად რაც ხდება და ამ ე.წ. პოლიტიკოსების პოლიტიკური წონა ნულის ტოლია, ისევე როგორც მათი შესაძლებლობები. ისინი პრორუსული ძალები არიან და საქართველოს მოსახლეობა ამ ძალებს არ აყვება. შეგიძლიათ მათი რეიტინგები ნახოთ და დაინახავთ, რომ ეს არის ცდომილების ფარგლებში, ანუ 2%-იც კი ან აქვთ და ან არა. თუმცა, მეორეა ის, რომ ქვეყანაში პრობლემები, ნამდვილად, არსებობს. ამ პრობლემებს მოვლა სჭირდება და ამ ყველაფრის მოსავლელად კონკრეტული ნაბიჯები, აუცილებლად, იქნება გადადგმული.

# ხელისუფლება სერიოზული გამოცდის წინაშე დგას

შორენა გონგლაძე

გუშინ თეთრმეტმა პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს, სადაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობაზეა საუბარი. მიმართვას ხელი მოაწერეს. ესენი არიან: „ახალგაზრდული ფორუმი“, „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“, „საქართველოს რესპუბლიკრი პარტია“, „საქართველოს გზა“, „თავისუფალი საქართველო“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „ქართული დასი“, „ჩვენ თვითონ“, „სოციალ-დემოკრატიული პარტია“, „ქალთა პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ „საზოგადოებაში არსებული უსამართლობისა და დაუცველობის განცდა და ამ ფონზე ხელისფლების არაადეკვატური ქმედებები ერთი ორად ზრდის ქვეყანაში მართავი პროცესების დაწყების რისკს, რაც ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამ ვითარებიდან გამოსავალი სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებაა, რაც საზოგადოებას თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემს. აქედან გამომდინარე, მოგიწოდებთ თქვენ, იმ საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს, რომელმაც უნდა მიიღოს ცვლილებები, „საარჩევნო კოდექსში“ გამოხატოთ პოლიტიკური ნება და მზაობა, გადადგათ ნაბიჯები, რათა ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული წინადადებები შევიდეს საარჩევნო კოდექსში. დარწმუნებული ვართ, ეს ცვლილება დაუბრუნებს ამომრჩევლებს არჩევნებისადმი ნდობას, რაც უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის განვითარებისათვის. იმედია, გეყოფათ პოლიტიკური ნება და გამბედაობა ამ ცვლილებების მისაღებად“. — ნათქვამია მიმართვაში.

ახალგაზრდობა სამართლიანი არჩევნებითვის წევრის შალვა კიკნაველიძის განცხადებით, ახალგაზრდული ორგანიზაციები მზად არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ პროცესში, რაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ეხება, ვინაიდან სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ქვეყნის სწორი განვითარების წინაპირობაა.

— ჩვენ შევიკრიბეთ, რათა გამოვხატოთ დამოკიდებულება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირეით მიმდინარე მოლაპარაკებებზე. ჩვენ, ახალგაზრდობა წარმოვადგენთ ამ ქვეყნის მომავალს, ამიტომაც არ არის სულერთი, როგორ და რა შედეგით დასრულდება ეს მოლაპარაკებები. სწორედ ამ ცვლილებებმა უნდა დაუბრუნოს საქართველოს მოსახლეობას არჩევნებისადმი რწმენა. ამ ცვლილებებმა ერთის მხრივ ქვეყანაში უნდა დაასრულოს უსამართლო და გაყალბებული არჩევნების ჩატარების სამარცხვინო პრაქტიკა და მეორეს მხრივ, ქვეყანას მისცეს შანსი, რევოლციური რყევებისა და კატაკლიზმების გარეშე დემოკრატილი და სამართლიანი არჩევნების გზით განაგრძოს განვითარება. დღეს არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებიდან ერთადერთ რეალურ გამოსავლად სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბება და ამ გარემოში არჩევნების ჩატარება გვესახება. ამიტომაც ახალგაზრდობა სამართლიანი არჩევნების წევრები, თეთრმეტი პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები მივმართავთ პალამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ბაქრაძეს, გამოიჩინოს პოლიტიკური მზაობა და გამბედაობა, რათა საქართველოს პარლამენტმა მიიღოს შემოთავაზებული ცვლილებების პაკეტი. დღეს ხელისუფლება დგას სერიოზული გამოცდის წინაშე, ამ გამოცდის ჩაბარების ხარისხზეა დამოკიდებლი საქართველოს შემდგომი განვითარება და მისი საერთაშორისო იმიჯი, იმ ქვეყნის მომავალი, რომელ ქვეყანაშიც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცხოვროს, გარდა ამისა ვთვლით, რომ ამ მიმართულებით ახალგაზრდების გააქტიურება, მოლაპარაკებების პროცესის წარმატებით დასრულებას წაადგება და ბუზარაქიზაციასა და კაფიზაციის გზას ააცილებს.

სულხან ღლონტი, თავისუფალი დემოკრატების ახალგაზრლული ორგანიზაციის თავმჯდომარე:

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, ამ პროცესმა ფაქტიურად გააერთიანა მთელი ოპოზიციური სპექტრი, ამიტომ ახალგაზრდებშიც გვინდა, რომ ეს თემა იყოს პოპულარული და ჩვენ დავიწყეთ აქტიურობა. ჩვენ გვინდა გადავცეთ პარლამენტის თავმჯდომარეს ის მიმართვა, რომელსაც ჩვენ ხელს მოვაწერთ.

# ლალი მოროშკინას აშანტაჟებდნენ



ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა ლალი მოროშკინას მიმართ შანტაჟში ეჭვმიტანილი, 20 წლის ლევან ბერიანიძე დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ლალი მოროშკინამ აცნობა. მისი თქმით, ლევან ბერიანიძემ შანტაჟისთვის ბოდიში მოიხადა და აღნიშნული საქციელი იმით ახსნა, რომ მასზე გავლენა მოახდინა რამდენიმე დღის წინ ეკა ხოფერიას თოქ-შოუში ნანახმა, რომელიც ცხოველების წამებას, გატყავებას და ბეწვეულის ბიზნესს ეხებოდა.

მოროშკინას განცხადებით, ის დაფიქრდება, აპატიებს თუ არა აღნიშნულ საქციელს ეჭვმიტანილს. ამასთან, იგი პოლიციას ოპერატიულობისთვის მადლობას უხდის.

ლევან ბერიანიძე ლალი მოროშკინას გუშინწინ, სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ მეშვეობით დაემუქრა, რომ თუ არ დახურავდა ბეწვეულის მაღაზიას, მის შვილებს გაატყავებდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ლექს სენი ბოლნისში ჩავა

ეკა ირემაშვილი

8 მარტს ქართველი რეპერი ლექს-სენი ბოლნისს ესტუმრება და ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში კონცერტს გამართავს.



როგორც გაირკვა, თავდაპირველად კონცერტი რუსთავში იყო დაგეგმილი, თუმცა ორგანიზატორებმა მისი ჩატარება ბოლნისში გადაწყვიტეს.

**ლექს-სენი, რეპერი:**

— კონცერტი 8 მარტს ბოლნისშია დაგეგმილი. ეს ჩვენი რიგით მეორე კონცერტია, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვმართავთ.

***— კონცერტში მხოლოდ თქვენ მონაწილეობთ?***

— არა. კონცერტის მთავარი ღერძი მე ვარ, მაგრამ ჩემთან ერთად ახალგაზრდა მომღერლები მონაწილეობენ, რომლებიც რეპს, ჰიპ ჰოპს, არენდბის მუსიკალურ მიმდინარეობაში მოღვაწეობენ. ოზურგეთის შემდეგ ჩვენ ბოლნისში ჩავდივართ და ჩავატარებთ კონცერტს, რომელშიც მინდოზა, ბიგ თიკო, მის თიკა, ნინა წკრიალაშვილი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მომღერალი მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ 6-7 კაციანი ჯგუფი ვართ, რომელიც მზად არის კონცერტებით მთელი საქართველო მოიაროს.

***— მართლა აპირებთ მთელი საქართველოს მოვლას?***

— ამის ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერჯერობით მხოლოდ ორი კონცერტი დაგვიფინანსეს, მერე რა იქნება, არ ვიცი.

***— როგორ გხვდებიან საქართველოს რეგიონებში?***

— სურვილი და მონდომება ნამდვილად დიდია. საზოგადოებას სურს ასეთი სახის კონცერტები. ვიცით, რომ დიდი სურვილია შიდა ქართლიდან, იქ დევნილები ცხოვრობენ და უნდათ სანახაობა, ცოტა განტვირთვა და დასვენება.

***— რა ღირს თქვენი კონცერტების ბილეთები?***

— ჩვენს კონცერტებზე დასწრება ყველასთვის უფასოა. ჩვენ ბილეთებს არ ვყიდით, მინიმალური სახსრებით ვაკეთებთ ამ ღონისძიებებს. სამწუხაროდ, სულ ენთუზიაზმზე ვერ იმუშავებ. ჩვენი მიზანია, მსმენელი ქუჩიდან საკონცერტო დარბაზებში შევიდეს და იქაც ისწავლოს სიმღერა და ცეკვა. ამისთვის ძალღონეს არ ვიშურებთ.

***— კონცერტი 8 მარტს საგანგებოდ დაამთხვიეთ?***

— ჩვენი სურვილია ყველა ჩვენი კონცერტი რაღაც დღესასწაულს დაემთხვეს. პირველი კონცერტი სიყვარულის დღეს დავამთხვიეთ, ახლა კი — 8 მარტს, ქალთა დღეს. ამ დღეს ყველა ქალბატონი და გოგონა ჩვენი კონცერტით განსაკუთრებულად გაიხარებს, რადგან ჩვენი სიმღერები სწორედ მათ ეძღვნებათ.

# ბათუმში ჯანეტ ჯექსონს ელოდებიან

ეკა ირემაშვილი

ბათუმი რიგით პირველ საერთაშორისო ფესტივალს „გოლდენ ტალენტ 2011 ბათუმი" გაიმართება, სადაც მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჩამოვლენ.

როგორც ფესტივალის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ფესტივალი 7-დან 11 სექტემბრის ჩათვლით ბათუმში ჩატარდება და მასში 25 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

— ფესტივალზე სტუმრის სტატუსით მსოფლიო ვარსკვლავები ჩამოვლენ, მათ შორის, ჯანეტ ჯექსონი, კრის ვილისი და ქრეიგ დევიდი, — განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.

ფესტივალის არტ-დირექტორი აჩიკო მეფარიძეა, მუსიკალური პროდიუსერი კი რუსა მორჩილაძე. მსოფლიოს 25 ქვეყანასთან ერთად ამ ფესტივალში რა თქმა უნდა, მასპინძელი საქართველოც იქნება ჩართული. შესარჩევი კონკურსი ჩვენს ქვეყანაში 10 მარტიდან 10 აპრილამდე გაიმართება. ჟიურის თავმჯდომარე მუსიკოსი და კომპოზიტორი დავით ევგენიძე იქნება. შესარჩევ ტურს, რომელიც 11 მაისს არის დაგეგმილი, მუსკომედიის თეატრი უმასპინძლებს.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას დავით ოქიტაშვილმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე — კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებისთვის ვარსკვლავების გახსნაზე ისაუბრა. როგორც პესკონფერენციაზე „ხელოვანთა კავშირის" პრეზიდენტმა განაცხადა, ამიერიდან მის მიერ დაარსებულ ვარსკვლავების გახსნის ტრადიციას ჩამოშორდება და ამ საქმეს მთლიანად საქართველოს კულტურის სამინისტრო უხელმძღვანელებს.

**დათო ოქიტაშვილი, ფესტივალის პრეზიდენტი:**

— ეს არის უმაღლესი დონის ფესტივალი, რომელსაც წელს ბათუმი უმასპინძლებს. შემოდგომაზე, კერძოდ კი 7-დან 11 სექტემბრის ჩათვლით, შავი ზღვისპირეთის მარგალიტში ნამდვილი დღესასწაული იქნება. საქართველოს ისტორიაში ეს არის ყველაზე მასშტაბური დონის ფესტივალი, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქართველო და ბათუმი მზადაა, ასეთი მაღალი დონის სატელევიზიო კონკურსებს უმასპინძლონ.

***— რა კრიტერიუმებით შეარჩევთ ამ ფესტივალისთვის საქართველოს წარმომადგენელს?***

— საქართველოს წარმომადგენლის შერჩევა მოხდება საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის და ტელეკომპანია „იმედის" მიერ ჩატარებული შიდა კონკურსის საშუალებით და, რა თქმა უნდა, კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით.

***— ასაკი შეზღუდული გაქვთ?***

— ამ კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილეობას 18-დან 35 წლამდე პოპულარული შემსრულებლები შეძლებენ.

***— საერთაშორისო მხარდაჭერა გაქვთ?***

— რა თქმა უნდა. ფესტივალ-კონკურსის პარტნიორი 25 ქვეყნის ტელეკომპანიაა. სწორედ ისინი იზრუნებენ იმაზე, რომ ღონისძიების წინასარეკლამო კომპანია უმაღლეს დონეზე წარიმართოს. რაც შეეხება თავად კონკურსს, მას 70-მდე ქვეყნის წამყვანი ტელეკომპანიები გააშუქებენ.

***— რაც შეეხება ვარსკვლავების გახსნას. რატომ თქვით უარი თქვენს მიერვე დაარსებულ ამ ტრადიციაზე?***

— მე უკვე მქონდა საქმიანი საუბარი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან, სადაც გადაწყდა, რომ ვარსკვალვებს დამსახურებულ ადამიანებს სწორედ კულტურის სამინისტრო გაუხსნის და არა მე.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ კულტურის სამინისტროს თავისი მოსაზრება და ფორმა აქვს, ვის და როგორ გაუხსნან ვარსკვალავები. გადაწყდა, რომ ამ საქმეს თავად განახორციელებენ. თუმცა, ვისაც გავუხსენი ვარსკვლავი, ეს საზოგადოების დაკვეთა იყო და კულტურის სამინისტროსთან ყოველთვის თანხმდებოდა.

***— ახლა როგორ გადაწყდება ვის უნდა გაუხსნან ვარსკვლავი და ვის არა?***

— ახლა შეიქმნება სპეციალური კომისია, სადაც გადაწყდება, ვის გაუხსნიან ვარსკვლავებს.

***— ამ კომისიაში თქვენც იქნებით?***

— ამ კომისიაში მეც მოვიაზრები, მაგრამ დავთანხმდები თუ არა, ეს სულ სხვა საკითხია.

***— ომარ მხეიძისა და ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავებს თქვენ აღარ გახსნით?***

— მათ ვარსკვლავებზე მუშაობა უკვე დასრულებულია და რა თქმა უნდა, ჩემი თანამონაწილეობით გაიხსნება, მაგრამ შემდგომ ღონისძიებებში მონაწილეობას უკვე აღარ მივიღებ.

***— სულ რამდენი ვარსკვლავი გახსენით?***

— უკვე 11 წელია ამ საქმეს ვემსახურები. ამ ხნის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით კულტურის სხვადასხვა სფეროს 45 მოღვაწის ვარსკვლავი გაიხსნა. 8 მარტს კი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მოცეკვავესა და თბილისის საპატიო მოქალაქეს, ომარ მხეიძეს სუხიშვილების ვარსკვლავის გვერდით სახელობით ვარსკვლავს გაუხსნიან. 25 მარტს კი ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ანსამბლ „რუსთავის" გვერდით გაიხსნება.

# გელა კანდელაკი პრემიერისთვის ემზადება

ეკა ირემაშვილი

რეჟისორმა გელა კანდელაკმა დოკუმენტური ფილმი „ხმელეთის 0.047 მეათასედი" გადაიღო. ეს ფილმის მხოლოდ პირველი ნაწილია, რომლის პრემიერაც ხელოვანმა ევროპის სახლში დაგეგმა. ღონისძიების ორგანიზატორები „ეროვნული კინოცენტრი" და „ევროპის სახლი" არიან. გელა კანდელაკი რეჟისორი და სცენარის ავტორია ფილმისა „უბედურება". იგი რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა თავის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი" გადაიღო.

გელა კანდელაკის მიერ წარდგენილმა პროექტმა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჯერ კიდევ 2007 წელს გაიმარჯვა. კინოცენტრმა გამარჯვებული ფილმის გადასაღებად 100.000 ლარი გამოყო.

ქართველი რეჟისორის ფილმი ქართველ ადამიანზე, ქართულ სამყაროსა და ღირებულებებზე მოგვითხრობს. რეჟისორის მთავარი მიზანს კი თვითმყოფადი ქართული კულტურის შეცნობა და მისი, როგორც ევროპული კულტურის ორგანული ნაწილად წარმოჩენა წარმოადგენს. დოკუმენტური ფილმი სტუდიამ „კვალი XXI" გადაიღო.

ორნაწილიანი ციკლის პირველმა სერიამ „სოფელი" საფრანგეთში სორეზის კინოფესტივალზე გრან-პრი აიღო. ქართველი რეჟისორის ფილმი ნაჩვენები იყო გერმანიასა და ლიტვაშიც. ფილმის მეორე ნაწილის გადაღებები კი ჯერ არ დაწყებულა.

# ქართველმა პიანისტმა გერმანიაში გრანპრი აიღო

ეკა ირემაშვილი

ახალგაზრდა ნიჭიერმა ქართველმა პიანისტმა მარიამ ბაწაშვილმა გერმანიის ქალაქ ვაიმარში გამართულ ფრანც ლისტის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე გრანპრი მოიპოვა.

კონკურსი გერმანიაში 21 თებერვალს დაიწყო და 2 მარტს დასრულდა. მარიამმა საერთაშორისო კონკურსზე უპრეცედენტო გამარჯვებას მიაღწია და მოიპოვა პირველი ადგილი, ლისტის ფონდის მიერ დაარსებული სპეციალური პრიზი ლისტის ნაწარმოების საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის და ახალგაზრდების მუსიკალური კონკურსების ევროპული გაერთიანების სპეციალური პრიზი.

მარიამ ბაწაშვილი 17 წლისაა და თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის №2 ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში სწავლობს დამსახურებულ პედაგოგ ნატა ნაცვლიშვილთან. არის მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული. თუმცა ლისტის კონკურსში გამარჯვება მოზარდისთვის მეტად სასიხარულო აღმოჩნდა.

როგორც კონკურსის გამარჯვებულმა, მარიამმა გამართა კონცერტები გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში — ვაიმარში, ბაიროიტში, ლაიპციგში და უკვე დაგეგმილი აქვს სხვა კონცერტები გერმანიის მასშტაბით, როგორც ინდივიდუალურად, ისე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. მის შესახებ გერმანიის ცენტრალური სატელევიზიო და რადიო არხები გადასცემდნენ.

მარიამ ბაწაშვილმა სპეციალური მიწვევა უკვე მიიღო ლისტის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობისგან, რათა 2011 ლისტის წელს პირადად მარიამმა ლისტის სახლ-მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გახსნას.

# ლიტერატურის მუზეუმს 10.000 წიგნი გადაეცა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ბიბლიოფილმმა დამიანე ალანიამ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმს 10.000-ზე მეტი წიგნი საჩუქრად გადასცა. წიგნები ბიბლიოთეკის ფონდში შეინახება და მათი წაკითხვა ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება. ლიტერატურის მუზეუმმა ბიბლიოფილის პირად ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის" 200-ზე მეტი გამოცემა, 50-მდე ქართული ჟურნალ-გაზეთი, მათ შორის, რამდენიმე მთელი წლის კომპლექტი და სხვა იშვიათი წიგნები დამთვალიერებლისთვის გამოფინა.

წარმოდგენილ ექსპონატებს შორისაა უნიკალური გამოცემებიც, რომელიც ავტოგრაფებითაა გაფორმებული. საჩუქრად მიღებულ წიგნებთან ერთად, სტუმრებს იმ იშვიათი გამოცემების ნახვის საშუალებაც მიეცათ, რომელიც დამიანე ალანიას პირად არქივში კვლავაც რჩება.

წიგნების გამოფენას თავად დამიანე ალანია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო არ დასწრებია. მას უკვე ერთი წელია ლიტერატურის მუზეუმში წიგნები მიაქვს და მათმა რაოდენობამ 10.000-ს მიაღწია. მათ შორის ბევრი გამოცემა უნიკალურია, თუნდაც 1943 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი". ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელობას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ როდესაც მუზეუმში რემონტი ჩატარდება, იქ დამიანე ალანიას სახელობის ოთახი გაიხსნება, სადაც მის მიერ ნაჩუქარი წიგნები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**



# განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში" ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

## რუმინელები სათბილისოდ ემზადებიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტრავმირებული, რომელიც უკვე მოირჩინა. რაც შეეხებათ დიმასა და ურსაჩეს, მწვრთნელმა მათი დახმარება ისევ გადაწყვიტა, თუმცა უცნობია, მოხვდებიან თუ არა ძირითად შემადგენლობაში.

პირველად მოხვდა ნაკრებში ტრაინ პლოტში, რომელიც აქამდე მხოლოდ 19 და 20-წლამდე ნაკრებში თამაშით გამოირჩეოდა, მაგრამ ამჯერად დაწინაურების შანსი მისცეს.

ასევე საეჭვო ყოფილა ოვიდიუ ტონიტას თამაშიც, თუმცა გუნდს თბილისში მაინც ჩამოყვება და ითამაშებს თუ არა, ამას ექიმები აქ გადაწყვეტენ.

თბილისში კი რუმინელები 10 მარტს ჩამოდიან, მატჩი კი 12 მარტს 15 საათზე „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გაიმართება.

# „ზესტაფონი“ ისევ თავშია

**ზესტაფინი — ბაია 6:1**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი

1:0 გრიგალაშვილი (1), 1:1 ქობალია (13), 2:1 გელაშვილი (25), 3:1, 4:1 დვალი (34, 44), 5:2 აფციაური (72), გ.ონიანი (82)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი, კობახიძე (ხიდეშელი 68), გ.ონიანი, ელიავა, დაუშვილი (გ.ფოფხაძე 74), გრიგალაშვილი, გორგიაშვილი, აფციაური, დვალი (ბაბუნაშვილი 61), გელაშვილი

**ბაია:** სომხიშვილი, სვირავა, აქუბარდია, აფაქიძე, რ.ონიანი, სიხარულია, რიგვავა (სამუშია 66), ქობალია, ეხვაია (წურწუმია 61), ლომია, ვართაგავა (ნ.შონია 46)

მსაჯის წამზომს ჯერ ერთი წრეც არ ჰქონდა მოხაზული, რომ შოთა გრიგალაშვილმა სტუმართა კარში გოლის გატანა მოახერხა. ეს გოლი მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე სწრაფი გამოდგა — იმერელთა ნახევარმცველმა, ბურთი 56-ე წამზე გაიტანა.

ასეთი დასაწყისის შემდეგ ნათელი გახდა, რომ „ბაიას“ ვერაფერი უშველიდა. თუმცა, მოულოდნელად ირაკლი ქობალიამ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, მაგრამ ეს იყო და ეს.

მთელი მატჩის განმავლობაში „ზესტაფონი“ კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა და უფრო დიდი ანგარიშით რომ არ მოიგო, თავის თავს უნდა დააბრალოს. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში იმერელთა შემტევებმა, ნიკოლოზ გელაშვილმა და ჯაბა დვალმა (2) ანგარიში 4:1 გახადეს. ამის გარდაც შეეძლო „ზესტაფონს“ გოლების გატანა, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გააცუდეს.

ანალოგიური იყო მეორე ტაიმიც, სადაც მხოლოდ 2 გოლი გავიდა. ჯერ იმერელთა კაპიტანმა თორნიკე აფციაურმა გაიტანა, შემდეგ კი შეტევაში ჩართულმა გიორგი ონიანმა.

„ზესტაფონმა“ რამდენი გოლიც გაიტანა, იმაზე მეტი მომენტი შექმნა, მაგრამ ხან თავდასხმელები სცოდავდნენ, ხან ზუგდიდელთა მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც მასპიძლები ზედმეტად ერთობოდნენ ინდივიდუალური ოსტატობით და მომენტებს უმიზნოდ ანიავებდნენ.



**ოლიმპი — სპარტაკი 1:0**

**რუსთავი.** ფოლადის სტადიონი

1:0 გეწაძე (53)

კიდევ ერთმა ლიდერმა, რუსთავის „ოლიმპმა“ მინიმალური სხვაობით იმარჯვა. მასპინძლებს 3 ქულა რევაზ გეწაძის ზუსტმა დარყმამ მოუტანა.

**სამტრედია — ტორპედო 0:1**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი

0:1 მეგრელაძე (52)

იმერულ დერბიში სტუმრებმა იმარჯვეს. თუმცა, ეს გამარჯვება იოლად არ მოსულა. მასპინძლები ბევრს შეეცადნენ თავიანთვის საჭირო ქულა მაინც მოეპოვებინათ, მაგრამ, ამაოდ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 23 | 16 | 2 | 5 | 50:14 | 50 |
| 2.ოლიმპი | 23 | 14 | 5 | 4 | 34:19 | 47 |
| 3.დინამო | 22 | 12 | 7 | 4 | 26:11 | 40 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 2 | 11 | 25:28 | 32 |
| 5.ბაია | 22 | 8 | 5 | 9 | 22:29 | 29 |
| 6.ტორპედო | 23 | 7 | 8 | 8 | 12:13 | 29 |
| 7.სიონი | 23 | 6 | 7 | 10 | 16:29 | 25 |
| 8.სპარტაკი | 23 | 6 | 5 | 12 | 24:27 | 23 |
| 9.კოლხეთი | 23 | 6 | 4 | 13 | 16:36 | 22 |
| 10.სამტრედია | 23 | 5 | 5 | 13 | 19:38 | 20 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი), — 12 ბურთი, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 11 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი), ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 10-10, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 8

# მანუ ჯინობილი — ყველაზე ცნობილი სამხრეთამერიკელი კალათბურთელი

წარმოიდგინეთ ასეთი რამ — უცებ გკითხეს, რომ დაასახელოთ ბოლო დროის ყველაზე ცნობილი სამხრეთამერიკელი კალათბურთელი. ამ დროს არც დარბაზის დახმარება გაქვთ, არც ზარი ახლობელთან და არც სავარაუდო პასუხები. ცხადია, პირველი ენაზე არგენტინელი მანუ ჯინობილი მოგადგებათ, რომელიც ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში (ნბა) „სან ანტონიო სფურზის“ ღირსებას იცავს.

1999 წელს ვაშინგტონში ბოლომდე არ ეჯერათ, რომ ჯინობილს ნბა-ს დრაფტზე აიყვანდნენ. არადა, დრაფტზე იტალიის ჩემპიონატის ორგზის ყველაზე სასარგებლოდ კალათბურთელის რანგში მივიდა. ამიტომაც იყო, ძალების მოსინჯვა საკალათბურთო მექაში რომ გადაწყვიტა. არგენტინელს კი ხელს არავინ ჰკიდებდა, მხოლოდ 57-ე ნომრად ისურვა მისი აყვანა „სან ანტონიომ“.

როგორც შემდეგ გაირკვა, „დეზებს“ მისი აყვანით არ უნანიათ. მანუმ ნბა-ში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია და იქაური კალათბურთის სამყაროში საკუთარი ავტორიტეტი მოიპოვა. ჯინობილი მეორე კალათბურთელია, რომელსაც მოგებული აქვს ნბა-ს ჩემპიონობა, ოლიმპიური თამაშები და ევროლიგა.

სადღეისოდ, ჯინობილი 33 წლის არის, მაგრამ კვლავაც შესანიშნავ ფორმაშია. მიმდინარე სეზონში მანუ საშუალოდ 18 ქულას აგროვებს, რასაც დაუმატეთ 4 მოხსნა და 5 პასი. დაგვეთანხმებით, ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის. მისი გუნდი კი დასავლეთ კონფედერაციაში „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ ერთად ლიდერობს დივიზიონს და ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ.

*— როგორ ფიქრობთ, ეს „სან ანტონიოს“ ბოლო შანსია გაისროლოს საჩემპიონო რბოლაში?*

— იცით, იგივე კითხვას გასულ წელსაც გვეუბნებოდნენ. შემიძლია მხოლოდ ერთი გიპასუხოთ — მიმდინარე სეზონში უკვე მოვიპოვეთ 50-ზე მეტი გამარჯვება და ახლა იმ ადგილზე ვართ, რასაც კლუბი იმსახურებს. რა იქნება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს.

*— მაშინ ასე გკითხავთ. თქვენი აზრით, რამდენი ხანი გაძლებს „დეზები“ ფავორიტთა შორის?*

— ამის გამოცნობა ძალიან ძნელია და არავინ იცის. ყველაფერი ჩვენს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. ვერ გეტყვით რა დაგვემართება უახლოეს მომავალში ტიმ დანკანს, ტონი პარკერს, მე ან „სან ანტონიოს“ სხვა საყრდენ კალათბურთელებს. თუ რამე მოხდა, მაშინ ჩვენი შანსი შემცირდება. აქამდე მოვახერხეთ და სერიოზულ ტრავმებს გავექეცით. საერთოდ, ჯანმრთელობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებისთვის. არც ერთ გუნდს არ შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს, თუ მათი კალათბურთელები დაშავებულები არიან. ეს დროის საკითხია და ამაზე მკითხაობა ახლა შეუძლებელია.

*— გასული წლის მაისში მამა გახდით. ამ ფაქტმა რამე გავლენა იქონია თქვენს თამაშზე?*

— არ მგონია, რადგან კალათბურთელად უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბებული ვარ. ჩემთვის ახლა მთავარია რა ხდება მატჩის შემდეგ. ახალგაზრდობაში ძალიან ვერ ვიტან მარცხს და მძიმედ გადამქონდა, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ღრუბლებში დავფრინავდი. ახლა უკვე ყველაფერს აბსტრაქტულად ვუდგები. საფინალო სასტვენის შემდეგ ვცდილობ ყველაფერი დავივიწყო, რაც კი მოედანზე მოხდა. შესაძლოა, ასოციაციის ყველაზე სუსტ გუნდთან წავაგოთ, მაგრამ სახლში მისულს ღიმილიანი სახეები დამხვდეს და თავი მშვენივრად ვიგრძნო. რაც შეეხება მოედანზე

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-მანჩესტერი ... 3:1
ვულვზი-ტოტენჰემი ... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 63:30 | 60 |
| 2.არსენალი | 28 | 17 | 6 | 5 | 57:27 | 57 |
| 3.სიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 45:25 | 53 |
| 4.ჩელსი | 27 | 14 | 6 | 7 | 48:23 | 48 |
| 5.ტოტენჰემი | 28 | 13 | 9 | 6 | 41:34 | 48 |
| 6.ლივერპული | 29 | 12 | 6 | 11 | 39:36 | 42 |
| 7.ბოლტონი | 29 | 10 | 10 | 9 | 42:40 | 40 |
| 8.სანდერლენ. | 29 | 9 | 11 | 9 | 33:35 | 38 |
| 9.ნიუკასლი | 29 | 9 | 9 | 11 | 44:41 | 36 |
| 10.ევერტონი | 29 | 8 | 12 | 8 | 37:37 | 36 |
| 11.ფულემი | 29 | 7 | 14 | 8 | 32:31 | 35 |
| 12.სტოკი | 29 | 10 | 4 | 15 | 32:38 | 34 |
| 13.ას. ვილა | 29 | 8 | 9 | 12 | 37:50 | 33 |
| 14.ბლექბერნი | 29 | 9 | 5 | 15 | 37:49 | 32 |
| 15.ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 16.ვესტ ბრომ. | 29 | 8 | 8 | 13 | 39:54 | 32 |
| 17.ვესტ ჰემი | 29 | 7 | 10 | 12 | 36:49 | 31 |
| 18.ბირმინგემი | 27 | 6 | 12 | 9 | 26:38 | 30 |
| 19.ვულვზი | 29 | 8 | 5 | 16 | 34:49 | 29 |
| 20.უიგანი | 28 | 5 | 12 | 11 | 27:47 | 27 |

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ჩეზენა ... 2:3
ბოლონია-კალიარი ... 2:2
ინტერი-ჯენოა ... 5:2
კიევო-პარმა ... 0:0
ნაპოლი-ბრეშა ... 0:0
უდინეზე-ბარი ... 1:0
ფიორენტინა-კატანია ... 3:0
ლაციო-პალერმო ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 7 | 3 | 50:20 | 61 |
| 2.ინტერი | 28 | 17 | 5 | 6 | 54:31 | 56 |
| 3.ნაპოლი | 28 | 16 | 5 | 7 | 41:25 | 53 |
| 4.ლაციო | 28 | 15 | 6 | 7 | 35:23 | 51 |
| 5.უდინეზე | 28 | 15 | 5 | 8 | 50:30 | 50 |
| 6.რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43:39 | 46 |
| 7.იუვენტუსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:35 | 41 |
| 8.პალერმო | 28 | 12 | 4 | 12 | 44:45 | 40 |
| 9.კალიარი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:30 | 39 |
| 10.ფიორენტ. | 28 | 9 | 10 | 9 | 32:29 | 37 |
| 11.ბოლონია | 28 | 10 | 9 | 9 | 31:36 | 36 |
| 12.ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 27:32 | 35 |
| 13.კიევო | 28 | 7 | 11 | 10 | 28:30 | 32 |
| 14.სამპდორია | 28 | 7 | 10 | 11 | 25:32 | 31 |
| 15.პარმა | 28 | 6 | 11 | 11 | 27:38 | 29 |
| 16.კატანია | 28 | 7 | 8 | 13 | 25:38 | 29 |
| 17.ჩეზენა | 28 | 7 | 7 | 14 | 23:38 | 28 |
| 18.ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:50 | 28 |
| 19.ბრეშა | 28 | 6 | 7 | 15 | 22:35 | 25 |
| 20.ბარი | 28 | 3 | 7 | 18 | 15:42 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ესპანიოლი ... 1:0
მალაგა-ოსასუნა ... 0:1
ხიხონი-ხეტაფე ... 2:0
ერკულესი-ალმერია ... 1:2
ბილბაო-სევილია ... 2:0
რასინგი-რეალი ... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 24 | 2 | 1 | 78:13 | 74 |
| 2.რეალი | 27 | 21 | 4 | 2 | 65:20 | 67 |
| 3.ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 42:28 | 54 |
| 4.ვილიარ. | 27 | 15 | 5 | 7 | 46:29 | 50 |
| 5.ბილბაო | 27 | 13 | 2 | 12 | 42:38 | 41 |
| 6.ესპანიოლი | 27 | 13 | 1 | 13 | 35:39 | 40 |
| 7.ატლეტიკო | 27 | 11 | 5 | 11 | 39:35 | 38 |
| 8.სევილია | 27 | 11 | 5 | 11 | 41:42 | 38 |
| 9.სოსიედ. | 26 | 11 | 2 | 13 | 37:42 | 35 |
| 10.მალიორკა | 27 | 10 | 4 | 13 | 28:37 | 34 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 5 | 12 | 36:41 | 33 |
| 12.ლევანტე | 27 | 9 | 4 | 14 | 28:38 | 31 |
| 13.რასინგი | 27 | 7 | 9 | 11 | 25:39 | 30 |
| 14.ოსასუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 27:32 | 29 |
| 15.ხიხონი | 27 | 6 | 10 | 11 | 25:34 | 28 |
| 16.დეპორტ. | 26 | 6 | 10 | 10 | 21:35 | 28 |
| 17.სარაგოსა | 27 | 6 | 9 | 12 | 24:39 | 27 |
| 18.ერკულესი | 27 | 7 | 5 | 15 | 25:41 | 26 |
| 19.ალმერია | 27 | 5 | 10 | 12 | 28:45 | 25 |
| 20.მალაგა | 27 | 6 | 5 | 16 | 34:59 | 23 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-სელტა ... 1:0
ბეტისი-ლას პალმასი ... 4:1
ვალიადოლიდი-პონფერადინა ... 2:1
კორდობა-ნუმანსია ... 1:2
უელვა-ხირონა ... 4:0
უესკა-ხერესი ... 1:1

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ვერდერი ... 1:3
ჰამბურგი-მაინცი ... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 25 | 19 | 4 | 2 | 53:14 | 61 |
| 2.ლევერკუზ. | 25 | 14 | 7 | 4 | 53:34 | 49 |
| 3.ჰანოვერი | 25 | 15 | 2 | 8 | 37:32 | 47 |
| 4.მაინცი | 25 | 14 | 1 | 10 | 41:32 | 43 |
| 5.ბაიერნი | 25 | 13 | 6 | 6 | 51:33 | 42 |
| 6.ნიურნბერ. | 25 | 11 | 6 | 8 | 39:32 | 39 |
| 7.ჰამბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 37:36 | 37 |
| 8.ფრაიბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 32:34 | 37 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 25 | 8 | 9 | 8 | 41:37 | 33 |
| 10.შალკე | 25 | 8 | 6 | 11 | 29:30 | 30 |
| 11.კიოლნი | 25 | 8 | 5 | 12 | 31:43 | 29 |
| 13.აინტრახტი | 25 | 8 | 4 | 13 | 24:34 | 28 |
| 13.ზ.პაული | 25 | 8 | 4 | 13 | 27:43 | 28 |
| 14.ვერდერი | 25 | 7 | 7 | 11 | 33:51 | 28 |
| 15.ვოლფსბ. | 25 | 6 | 8 | 11 | 29:37 | 26 |
| 16.შტუტგარ. | 25 | 7 | 4 | 14 | 43:47 | 25 |
| 17.კაიზერი | 25 | 6 | 7 | 12 | 33:42 | 25 |
| 18.გლადბახი | 25 | 6 | 4 | 15 | 36:59 | 22 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

აუე-უნიონი ... 0:0
დუისბურგი-არმინია ... 1:2
ინგოლშტადი-აახენი ... 2:1

**საფრანგეთი. I ლიგა**

ბრესტი-ბორდო ... 1:3
ლიონი-არლე ... 5:0
მარსელი-ლილი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 26 | 13 | 10 | 3 | 45:25 | 49 |
| 2.რენი | 26 | 14 | 7 | 5 | 31:18 | 49 |
| 3.ლიონი | 26 | 12 | 9 | 5 | 44:25 | 45 |
| 4.მარსელი | 26 | 12 | 9 | 5 | 37:23 | 45 |
| 5.პსჟ | 26 | 12 | 8 | 6 | 39:26 | 44 |
| 6.მონპელიე | 26 | 10 | 8 | 8 | 21:24 | 38 |
| 7.ბორდო | 26 | 9 | 10 | 7 | 35:31 | 37 |
| 8.ლორიენი | 26 | 10 | 6 | 10 | 32:31 | 36 |
| 9.სოშო | 26 | 10 | 5 | 11 | 40:31 | 35 |
| 10.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:33 | 35 |
| 11.ბრესტი | 26 | 9 | 8 | 9 | 27:28 | 35 |
| 12.ტულუზა | 26 | 10 | 3 | 13 | 27:29 | 33 |
| 13.ვალანს. | 26 | 7 | 11 | 8 | 30:27 | 32 |
| 14.კაენი | 26 | 8 | 8 | 10 | 29:36 | 32 |
| 15.ნიცა | 26 | 7 | 9 | 10 | 17:27 | 30 |
| 16.ოსერი | 26 | 5 | 14 | 7 | 30:33 | 29 |
| 17.ნანსი | 26 | 8 | 5 | 12 | 27:41 | 29 |
| 18.მონაკო | 26 | 4 | 14 | 8 | 25:28 | 26 |
| 19.ლანსი | 26 | 5 | 10 | 11 | 26:44 | 25 |
| 20.არლე | 26 | 1 | 8 | 17 | 13:50 | 11 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

გრონინგენი-ერაკლესი ... 1:4
უტრეხტი-როდა ... 1:1
ჰერენვენი-ფეინოორდი ... 0:1
აიაქსი-ალკმაარი ... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 26 | 17 | 6 | 3 | 69:24 | 57 |
| 2.ტვენტე | 26 | 16 | 6 | 4 | 50:27 | 54 |
| 3.აიაქსი | 26 | 15 | 7 | 4 | 51:22 | 52 |
| 4.დენ ჰააგი | 26 | 13 | 6 | 7 | 52:38 | 45 |
| 5.გრონინგენი | 26 | 13 | 5 | 8 | 53:42 | 44 |
| 6.ალკმაარი | 26 | 12 | 7 | 7 | 38:32 | 43 |
| 7.როდა | 26 | 10 | 11 | 5 | 45:35 | 41 |
| 8.უტრეხტი | 26 | 10 | 8 | 8 | 42:34 | 38 |
| 9.ჰერენვენი | 26 | 9 | 7 | 10 | 47:40 | 34 |
| 10.ბრედა | 26 | 10 | 4 | 12 | 35:46 | 33 |
| 11.ნაიმეგენი | 26 | 7 | 11 | 8 | 41:45 | 32 |
| 12.ერაკლესი | 26 | 8 | 7 | 11 | 44:45 | 31 |
| 13.ფეინოორ. | 26 | 8 | 7 | 11 | 35:43 | 31 |
| 14.გრააფსხაპი | 26 | 7 | 9 | 10 | 26:44 | 30 |
| 15.ვიტესი | 26 | 7 | 7 | 12 | 32:44 | 28 |
| 16.ექსელსი. | 26 | 6 | 4 | 16 | 31:51 | 22 |
| 17.ვენლო | 26 | 5 | 1 | 20 | 23:57 | 16 |
| 18.ტილბურგი | 26 | 2 | 5 | 19 | 27:72 | 11 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

დორდრეხტი-ვალვაიკი ... 1:2
სპარტა-დენ ბოსხი ... 4:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

მარიტიმუ-რიუ ავე ... 0:1
სეტუბალი-ოლჰანენსე ... 0:0
სპორტინგი-ბეირა მარი ... 1:0
ბრაგა-ბენფიკა ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 22 | 20 | 2 | 0 | 51:7 | 62 |
| 2.ბენფიკა | 22 | 17 | 0 | 5 | 45:19 | 51 |
| 3.სპორტინგი | 22 | 10 | 6 | 6 | 33:25 | 36 |
| 4.ფერეირა | 21 | 8 | 8 | 5 | 22:22 | 32 |
| 5.გიმარაეში | 22 | 9 | 5 | 8 | 25:28 | 32 |
| 6.ნაციონალი | 21 | 8 | 5 | 8 | 18:23 | 29 |
| 7.ლეირია | 22 | 8 | 5 | 9 | 18:25 | 29 |
| 8.ბრაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 36:29 | 31 |
| 9.ოლჰანენსე | 22 | 6 | 10 | 6 | 19:21 | 28 |
| 10.ბეირამარი | 22 | 5 | 10 | 7 | 23:25 | 25 |
| 11.აკადემიკა | 22 | 6 | 9 | 10 | 27:35 | 24 |
| 12.რიუ ავე | 22 | 7 | 5 | 10 | 22:25 | 26 |
| 13.მარიტიმუ | 22 | 5 | 7 | 10 | 21:25 | 22 |
| 14.სეტუბალი | 22 | 4 | 8 | 10 | 16:30 | 20 |
| 15.ნავალი | 21 | 3 | 6 | 12 | 18:37 | 15 |
| 16.პორტიმონ. | 21 | 3 | 5 | 13 | 19:37 | 14 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-რეინჯერსი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61:17 | 67 |
| 2.რეინჯერსი | 26 | 20 | 2 | 4 | 58:23 | 62 |
| 3.ჰართსი | 28 | 17 | 4 | 7 | 41:24 | 55 |
| 4.კილმანროკი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:33 | 42 |
| 5.მოზერველი | 29 | 11 | 4 | 14 | 31:38 | 37 |
| 6.ინვერნესი | 29 | 9 | 9 | 11 | 39:37 | 36 |
| 7.დანდი | 25 | 8 | 10 | 7 | 30:31 | 34 |
| 8.ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31:45 | 32 |
| 9.სტ.ჯონსონი | 29 | 8 | 8 | 13 | 18:35 | 32 |
| 10.აბერდინი | 28 | 9 | 4 | 15 | 30:44 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 28 | 4 | 7 | 16 | 22:45 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 28 | 2 | 9 | 17 | 16:48 | 15 |

**რუსეთი. სუპერთასი**

ზენიტი-ცსკა ... 1:0

**რუსეთი. თასი**

ამკარი-კრასნოდარი ... 0:1(დდ)

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-რიდი ... 2:0

**ბელგია. პროლიგა**

სტდანდარდი-ბრიუგე ... 2:2
ლიერსი-ეუპენი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ციურიხი ... 3:1
ქსამაქსი-ბელინცონა ... 1:2
თუნი-ლუცერნი ... 3:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კავალა-ასტერასი ... 1:0
ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი ... 3:0
ატრომიტოსი-პანიონიოსი ... 1:2
ლარისა-პანათინაიკოსი ... 2:0
აეკი-პაოკი ... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ანთალია ... 2:3
ბურსა-ისთამბული ... 1:1
ერჩიესი-ბუკა ... 1:0
ბეშიქთაში-ტრაბზონი ... 1:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ჰრადეც კრალოვე-ბუდეოვიცე ... 2:0
ბოლესლავი-ბრნო ... 5:0
სპარტა-პრჟიბრჟამი ... 1:0
ტეპლიცე-უსტი ... 2:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

ლეგია-ბიტომი ... 1:0
ლეჩნა-პოლონია ... 2:0

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

დნიპრო-ტავრია ... 2:2
არსენალი-კარპატი ... 2:2

**დანია. სასლიგა**

ესბიერგი-სონდერიისკე 0:1
ბრონდბიუ-ლუნგბიუ 1:1
რანდერსი-ნორდსიელანდი 4:0
მიდტიულანდი-კოპენჰაგენი ... 2:0

**ფინეთი. თასი**

ოულუ-როვანიემო ... 0:1

**არგენტინა. კლაუსურა**

ბანფილდი-ლანუსი ... 2:1
გოდოი-კოლონი ... 2:3
ქილმესი-ტიგრე ... 1:2
რივერ პლეიტი-არხენტინოსი ... 0:0
ველეჟი-ბოკა ... 1:0

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

მაიამი-ჩიკაგო ... 86:87
სან ანტონიო-ლეიკერსი ... 83:99
დეტროიტი-ვაშინგტონი ... 113:102
ფილადელფია-გოლდენ სტეიტი 125:117(ოტ)
ატლანტა-ნიუ იორკი ... 79:92
კლივლენდი-ნიუ ორლეანი ... 81:96
ოკლაჰომა-ფინიქსი ... 122:118(ოტ)
დალასი-მემფისი ... 103:104
მილუოკი-ბოსტონი ... 83:89

### ჩოგბურთი

**ვტა. კუალა ლუმპური. ფინალი**

საფაროვა-დოკიჩი ... 6:2;6:7;4:6

**ვტა. მონტერეი. ფინალი**

იანკოვიჩი-პავლუჩენკოვა ... 6:2;2:6;3:6

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

რეინჯერსი-ფილადელფია ... 7:0
აილენდერსი-ნიუ ჯერსი ... 2:2(0:13)
ფლორიდა-ვაშინგტონი ... 2:3(ოტ)
მინესოტა-ბუფალო ... 2:3(ოტ)
ანაჰაიმი-ვანკუვერი ... 0:3
კალგარი-ნეშვილი ... 3:2

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# გაერო ლიბიაში ჰუმანიტარული კატასტროფის მასშტაბებს იკვლევს




გაერომ ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში სპეციალური წარმომადგენელი გაგზავნა, რომელსაც ქვეყნის ლიდერ მოამარ კადაფის ერთგული ჯარებისა და მეამბოხეების შეტაკებების ჰუმანიტარული შედეგების შესწავლა დაევალა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ლიბიაში თავის წარმომადგენლად იორდანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი აბდელილ ხატიბი დანიშნა. გაეროს გენერალური მდივნის თქმით, მოამარ კადაფი ლიბიაში ჰუმანიტარული დელეგაციის შეშვებას დათანხმდა.

გაერო, გარდა დედაქალაქ ტრიპოლისა, აღმოსავლეთით, 200 კმ-ით დაშორებულ ქალქ მისურატის შემოწმებასაც მოითხოვს. ამ ქალაქში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. კადაფის ერთგული ჯარები კვირას კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ოპოზიციას რიგი პოზიციები დაატოვებინეს. ტანკებისა და არტილერიის მხარდაჭერით მათ მისურატში შესვლა მოახერხეს, მაგრამ შემდეგ მეამბოხეებმა დაკარგული პოზიციების დაბრუნება შეძლეს.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ლიბიის მთავრობას ძალის არაპროპორციული გამოყენების და მშვიდობიან ობიექტებზე განურჩევლად თავდასხმის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვა.

გაეროს ჰუმანიტარული პროგრამების კოორდინატორის ვალერია ეიმოსის თქმით, მისურატში მრავალ ადამიანს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება.

ერთ-ერთი ადგილობრივი ექიმის განცხადებით, მის საავადმყოფოში 21 დაღუპული და 100-ზე მეტი დაჭრილი მიიყვანეს, ამასთან, თავად საავადმყოფო სამთავრობო ჯარების თავდასხმის ობიექტი შეიქნა. ბრძოლა არანაკლებ ექვსი საათის განმავლოლბაში გრძელდებოდა და შენობას მძიმე არტილერიის ცეცხლს უშენდნენ. ექიმის თქმით, მისი ინფორმაციით, გარდა საავადმყოფოსი, ექვსი მეჩეთიც დაიბომბა.

ადგილობრივი მოსახლეობა ქალაქიდან მოამარ კადაფის ჯარების გაძევებას სიხარულით შეხვდა. მეამბოხეებმა გაანადგურეს კადაფის ჯარების ერთი ტანკი და 18 სამხედრო მოსამსახურე. რამდენიმე ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა.

გაეროს შეფასებებით ბოლო სამი კვირის განმავლობაში ლიბიაში 1000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. 200 ათასამდე ადამიანი ქვეყნიდან გაიქცა. უცხოელი მუშების ლიბიიდან გაქცევამ ტუნისთან საზღვარზე ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. მისურატის მოსახლეობა 300 ათას ადამიანს აღწევს და იგი ოპოზიციის კონტროლს დაქვემდებარებულ უდიდეს ქალაქს წარმოადგენს.

გარდა ამისა, მეამბოხეებმა კვირას ქალაქ ეზ ზავიაზე სამთავრობო ჯარების იერიშის მოგერიება შეძლეს. ეს ქალაქი ტრიპოლიდან 50 კმ-ის მოშორებით, დასავლეთით მდებარეობს. მეამბოხეთა თავისებურ დედაქალაქად ქალაქი ბენგაზი იქცა. აქ შეიქმნა გარდამავალი ეროვნული საბჭო, რომელმაც მსოფლიო საზოგადოებრიობას ლიბიის ერთადერთ კანონიერ მთავრობად აღიარების თხოვნით მიმართა.

მრავალი ლიბიელი ქვეყნის საჰაერო სივრცის ფრენისათვის აკრძალულ ზონად გამოცხადებას მხარს უჭერს. ასეთ შემთხვევაში კადაფის თვითმფრინავები მეამბოხეთა კონტროლს დაქვემდებარებული რაიონების დაბომბვას ვერ შეძლებდნენ.

დასავლეთის ქვეყნებში გარდა ამისა, სულ უფრო ხშირად გაისმის მოსაზრება ლიბიელი მეამბოხეებისათვის იარაღის მიწოდების შესახებ. ამ შინაარსის განცხადებით, კერძოდ, გამოვიდა აშშ-ის ყოფილი ელჩი გაეროში ბილ რიჩარდსონი და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში სტივენ ჰედლი. ბიბისის ინფორმაციით, მეამბოხეები შევიდნენ ტერიტორიაზე, სადაც კადაფის მშობლიური ტომი ბინადრობს და ამჟამად მათი ძალები უწინდელთან შედარებით გაცილებით ნელა მიიწევენ წინ.

# საფრანგეთის მომავალ არჩევნებში ულტრამემარჯვენეთა ლიდერმა შეიძლება გაიმარჯვოს

საფრანგეთის ულტრამემარჯვენე ეროვნული ფრონტის პრეზიდენტმა მარინ ლე პენმა 2012 წლის პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში თავისი ყველა მეტოქე შეიძლება დაამარცხოს.

ეს შედეგი გამოიღო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, რომლის ორგანიზატორიც ფონდი „ჰარის ინტერაქტივი“ გახლდათ. გამოკითხვის შედეგები ფრანგულმა გამოცემა „პარიზიენმა“ გამოაქვეყნა. მარინ ლე პენმა ნაციონალური ფრონტის პრეზიდენტის პოსტზე მამა, ჟან-მარი ლე პენი შეცვალა მიმდინარე წლის იანვარში და სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა მას შემდეგ პირველად მიანიშნეს, რომ პარტიის ახალ ლიდერს მომავალი არჩევნების სოციალისტური პარტიის მომავალი კანდიდატის და პირველ ტურში მოქმედი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის დამარცხება შეუძლია, თუკი, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი მომავალ არჩევნებში თავის კანდიდატურას წამოაყენებს.



როგორც „ჰარის ინტერნეიშნლი“ ამტიცებს, არჩევნების პირველ ტურში ლე პენმა ამომრჩევლების 23%-ის ხმების მოგროვება შეიძლება შეძლოს, მაშინ, როდესაც სოციალისტმა კანდიდატმა და სარკოზიმ დაახლოებით 21% შეიძლება მოაგროვონ. თავად ლე პენი გამოკითხვის მსგავს შედეგებს „ერის გამოღვიძებას“ უწოდებს.

მარინ ლე პენის თქმით, ფრანგები დიდი ცვლილებების მოთხოვნილებას გრძნობენ და სწორედ ამ სურვილს გამოხატავენ. იმავდორულად, როგორც ჟურნალი „ფიგარო“ აღნიშნავს, როგორც მემარცხენეების, ასევე მემარჯვენეთა ბანაკები ეროვნული ფრონტის ლიდერის პოპოულარობის ზრდით გამოწვეულ შეშფოთებას გამოხატავენ. მმართველ პარტიას კარგად ესმის, რომ მას შემდეგ, რაც ჟან-მარი ლე პენი მისმა ქალიშვილმა შეცვალა, „სახალხო მოძრაობისათვის კავშირის“ მრავალი წევრი, რომლებმაც 2007 წელს სარკოზის დაუჭირეს მხარი, ამჯერად კვლავ ეროვნულ ფრონტს შეიძლება დაუბრუნდნენ.

თავად ფრანგები ამ ტენდენციაში მოქმედ პრეზიდენტს ადანაშაულებენ. მათი აზრით, მიზეზი ის გახლავთ, რომ ხელისუფლებას ხალხის ხმა არ ესმის და მთავრობას ვითარების გამოსწორებისათვის არცთუ ბევრი დრო რჩება.

ფრანგულ ინტერნეტ პორტალებზე მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიები იმართება. ინტერნეტში მრავალი ამომრჩეველი აცხადებს, რომ სარკოზის ხმას არ მისცემს, რადგან იგი დაპირებებს არ ასრულებს. მიმომხილველების თქმით, 2012 წლის არჩევნების პირველ ტურში მარინ ლე პენის გამარჯვებას სწორედ სარკოზის პოლიტიკით მრავალი ფრანგის უკმაყოფილებამ შეუწყოს ხელი.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მამისაგან განსხვავებით მარინ ლე პენი თავს აშკარად პროვოკაციული განცხადებების გავრცელების უფლებას არ აძლევს.

მათი თქმით, ფრანგები წარსულში ეროვნული ფრონტის ლიდერს დაწინაურების უფლებას არ აძლევდნენ. 2002 წელს, როდესაც ჟან მარი ლე პენი ჟაკ შირაკის პირისპირ მარტო დარჩა, ყველა მის წინააღმდეგ დაირაზმა და ამიტომ შირაკმა მეორე ტურში ხმების 80%-ზე მეტი დააგროვა.

ამჟამად კი მარინ ლე პენს მამის შედეგების გაუმჯობესების და პირველივე ტურში დაწინაურების შანსები აქვს. მიმომხილველების თქმით, ეროვნული ფრონტის ახალი ლიდერი საკმაოდ ჭკვიანია და მამის შეცდომებს არ გაიმეორებს. თავის დროზე ჟან-მარი ლე პენი შირაკთან იმიტომ დამარცხდა, რომ ეროვნულ ფრონტს გარდა ხელისუფლების ნეგატიური კრიტიკისა, მკაფიოდ გამოკვეთილი პროგრამა არ ჰქონდა. მარინ ლე პენი კი ამჟამად მამაზე უფრო პოპულარულია და კარგად ესმის, რომ გამარჯვების საწინდარი ძლიერი წინასაარჩევნო პროგრამა შეიძლება იყოს და ამჟამად მასზე იმუშავებს.

იმავდროულად, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ფრანსუა ფიიონს ეჭვი არ ეპარება, რომ 2012 წლის არჩევნებში სარკოზი გაიმარჯვებს. „ფიგაროს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მმართველი პარტიისათვის უარყოფითი პროგნოზები სათვალავში მისაღები არ არის. მისი თქმით, არჩევნებამდე 14 თვე რჩება, პროგნოზები, როგორც წესი, შეიძლება არასწორო იყოს, გარდა ამისა, საფრანგეთი მხოლოდ ახლა იწყებს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მიმდინარე რევოლუციები, გარდა დიდი იმედებისა, საფრანგეთისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნიან.

„ფიგაროს“ შეკითხვის პასუხად, მიიჩნევს თუ არა ფრანსუა ფიიონი მემარჯვენეთა ერთადერთ კანდიდატად ნიკოლა სარკოზის, პრემიერმა განაცხადა, რომ სარკოზი გარდა იმისა, რომ ერთადერთია, საუკეთესო კანდიდატიც არის.

# სპილბერგმა ასანჟის ფილმის გადაღების უფლება შეიძინა

კომპანია დრმვორქსი, რომლის თანამფლობელიც ცნობილი ამერიკელი რეჟისორი და პროდიუსერი სტივენ სპილბერგი გახლავთ, „ვიქილიქსის“ დამფუძნებლის, ჯულიან ასანჟის შესახებ ორი წიგნის ეკრანიზაციის უფლების მფლობელი გახდა. საინფორმაციო სააგენტო რეიტერის ცნობით, ამერიკულმა კინოკომპანიამ ავსტრალიელი ასაჟის ორი ბიოგრაფიული წიგნის შესყიდვის შეთანხმება დადო. ერთ-ერთი წიგნის „ჟულიან ასანჯის ომი გასაიდუმლოების წინააღმდეგ“ ავტორები არიან გაზეთ „გარდიანის“ ჟურნალისტები დევიდ ლი და ლიუკ ჰარდინგი. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ რუსეთიდან გააძევეს.

მეორე წიგნი, სახელწოდებით „ვიქილიქსის შიგნით: ჯულიან ასანჟთან მსოფლიოში ყველაზე სახიფათო საიტზე მუშაობის დროს“ ასანჟის ყოფილმა ხელქვეითმა დენიელი დომშაიტ-ბერგმა დაწერა.

მიუხედავად იმისა, რომ სპილბერგი დრიმვორქსის ერთ-ერთი თანამფლობელია, ამ პროექტში მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

ასევე უცნობია, თუ ვინ იქნება მომავალი ფილმის რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი.

ამჟამად ფავორიტად მიიჩნევენ ამერიკელ მსახიობ მეთ დეიმონს. თუმცა, სხვა ვერსიით, ასანჟის როლი შეიძლება შეასრულონ აგრეთვე ლეონდარდო დიკაპრიომ, ჯუდ ლოუმ და მაიკლ შინმა.

2010 წელს კიდევ ერთი ინტერნეტ პერსონაჟის, სოციალური ქსელის ფეისბუქის შემქმნელის, მარკ ცუკერბერგის შესახებ გადაღებულმა ფილმმა მსოფლიო გაქირავებაში 220 მილიონი დოლარი მოაგროვა. ეს ფილმი „ოსკარზე“ იყო ნომინირებული, საუკეთესო ფილმის ნომინაციაში, გარდა ამისა, ამერიკის კინოაკადემიისა და რეჟისორთა გილდიის პრიზები მოიპოვა საუკეთესო ადაპტირებული სცენარისათვის.

ჯულიან ასანჟი მიმდინარე წლის დეკემბერში დიდ ბრიტანეთში დააკავეს შვედეთის ხელისუფლების მიერ ევროპის ფარგლებში გაცემული ორდერის საფუძველზე. ორდერის გაცემის საბაბად იქცა ორი ქალის განცხადება, რომლებმაც 39 წლის ავსტრალიელს სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის ბრალდებები წაუყენეს.

თავად ასანჟი აცხადებს, რომ შვედეთში მისთვის წაყენებული ბრალდებები პოლიტიკურად არის მოტივირებული და ბრალდებებს უარყოფს.




# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ქალაქი იმერეთში; 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. ადამიანის დასნეულება ცხოველური პარაზიტებით; 9. გაწმენდა, ჭუჭყის მოცილება; 13. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 15. კუთხე საქართველოში; 16. ამერიკელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

**თარაზულად:** 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო სპორტული ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. იტალიური ლიქიორი; 11. ქართული ანბანის ოცდამეერთე ასო; 12. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი უღელტეხილი; 14. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. პირველი გერმანული ოპერა; 19. საფრანგეთის პირველი ლედი; 20. უბანი თბილისში; 21. ქართული სამშენებლო კომპანია; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია; 23. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის საპასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ანაკლია; 6. მარადია; 8. ნიტი; 9. მედია; 10. უნიათო; 11. ცული; 13. კიდობანი; 14. კენტი; 16. აბედი; 18. სადია; 20. რეპრიზი; 21. დრაკონი.

**შვეულად:** 1. კაცია; 2. კიმონო; 3. კასტეტი; 4. ვატმანი; 5. აბაჟური; 7. კატლეტი; 11. ცენტი; 12. „მინდია“; 13. კონდახი; 14. კენგურუ; 15. პარადი; 17. ბარაკი; 19. სარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კადრილი; 2. იდიია; 3. ალა; 4. ნარდი; 5. რეალი; 6. სანდრო; 7. მუნდირი; 8. ონო; 9. რომენ; 10. ელერონი; 11. უხა; 12. ედი; 13. ადა; 14. ნერბი; 15. ომარი; 16. ორანჟერეა; 17. არენა; 18. იდეა; 19. ციმბალი; 20. ტალავერი; 21. ბოტიჩელი; 22. კოლბა; 23. ლედი; 24. ბრენდი; 25. მარტივი; 26. იაკი; 27. ცეცე; 28. კარამელი; 29. სარდალი; 30. ელი; 31. სიო; 32. მენისკი.

**სურათებზე:** ანა ივანოვიჩი; მიგელ ანგულო.

# შირაკს კორუფციის ბრალდებებით ასამართლებენ

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის წინააღმდეგ სახელმწიფო სახრების არამიზნობრივ გამოყენების ბრალდებებით პროცესი დაიწყო.

ბრალდებები ეხება პერიოდს, როდესაც შირაკი ჯერ კიდევ პარიზის მერი იყო.

საფრანგეთის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსისათვის წაყენებული ბრალდებების თანახმად, იგი 1977-დან 1995 წლამდე ქალაქის საბჭოში არარსებული სამუშაოს შესრულებისათვის თავის ახლო მეგობრებს ფულს უხდიდან. 78 წლის შირაკი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

ანრი პეტენის შემდეგ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში კოლაბორაციონისტულ „ვიშის მთავრობას“ ხელმძღვანელობდა, ჟაკ შირაკი საფრანგეთის პირველი ლიდერია, ვის წინააღმდეგაც ბრალდებები წამოაყენეს და პროცესი იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მთავარმა მომჩივანმა პრეტენზიები მოხსნა, შირაკი სასამართლოს წინაშე მაინც წარდგება. პარიზის მუნიციპალიტეტმა სარჩელი გასულ წელს გაიტანა, მას შემდეგ, რაც ყოფილ პრეზიდენტთან და მმართველ პარტიასთან სასამართლოს გარეშე შეთანხმებას მიაღწია. შეთანხმების თანახმად, ქალაქის ხელისუფლებმა 2.2 მილიონი ევრო მიიღეს.

პროკურორმა, რომელსაც ეს საქმე თავიდან მიჰყავდა, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, საბოლოო განაჩენის გამოსატანად გამოძიებას საკმარისი სამხილი არ გააჩნია.

ამასთან დამოუკიდებელი გამომძიებლების ორი ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შირაკის წინააღმდეგ წაყენებული კორუფციის ბრალდებები ყურადღებით გამოიძიეს, სახელმწიფო ბრალმდებლის გადაწყვეტილება უარყვეს.

ისინი ამტკიცებენ, რომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე პროცესის გამართვა აუცილებელია. ფრანგული კანონების თანახმად, აუცილებელი არ არის, რომ ყოფილი პრეზიდენტი პირადად დაესწროს სასმართლო პროცესს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ შირაკი სამშაბათს სასამართლოში გამოცხადება, თანაც მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მისი ავადმყოფობის ინფორმაცია გავრცელდა. შირაკის მეუღლის თქმით, ყოფილ პრეზიდენტს ალცჰეიმერის დაავადება სჭირს.

ყოფილ პრეზიდენტს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მიუსაჯონ, თუმცა, როგორც მიმომხივლელები აღნიშნავენ, დამნაშავედ ცნობის შემთხვევაშიც კი შირაკს ციხეში სასჯელის მოხდა არ მოუწევს.

# სამგლოვიარო განცხადებები

დეიდაშვილები მერი, დარეჯან, ბაკურ და ანდრო კოტეტიშვილები მწუხარებით იუწყებიან ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**მერი ივანეს ასულ ჭელიძე-კეკელიძის**

გარდაცვალებას.

---



მეუღლე ნანა სამხარაძე, შვილი მანანა სამხარაძე, ძმა კუკური სამხარაძე, სიძე ზურაბ ხიზანიშვილი, შვილიშვილები ირაკლი და დათო ხიზანიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ომარ შალვას ძე სამხარაძე**

პანაშვიდი: სამშაბათს და ოთხშაბათს, 8, 9 მარტს, 17 საათზე.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 10 მარტს, 15 საათზე.
მისამართი: გურამიშვილის გამზირი №25, ბინა 42.

## ომარ სამხარაძესთან გამოთხოვება

ომარის სულიერი საზრდო ქართველი ადამიანი იყო, მას უყვარდა თავისი ქვეყანა, იყო ზედმიწევნით მართალი და პატიოსანი, მეგობრების მოყვარე. თავისი ცხოვრება შს სამსახურში გაატარა, ის მასზედ დაკისრებულ მოვალეობას რწმენით, სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდა.

1967 წლიდან ლეიტენანტის ჩინით ხობისა და ტყიბულის რაიონებში მუშაობდა, 1971 წელს გადმოიყვანეს ქ.თბილისის შს სამმართველოში, კარგი მუშაობისათვის დაჯილდოებული იქნა მედლით, მიღებული ჰქონდა შრომის ვეტერანის ორდენი, მუშაობდა №19 სპეცკომენდატურაში, შემდეგ ქ.თბილისის პირველი მაისის რაიონში, საიდანაც 1988 წელს გავიდა პენსიაზე. იყო კეთილი, მან დაგვიტოვა სამშობლოს სიყვარულის რწმენა.

მშვიდობიანი იყოს შენი გზა უფლის საუფლოსკენ, ჩვენო ომარ!

*გემშვიდობები, შენი ძმა კუკური*

---

ძმები გიორგი, ვაჟა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დის, მულის, მამიდის

**მედეა გეგეჭკორის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 8, 9 მარტს, 17 საათზე.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 10 მარტს, 15 საათზე.
მისამართი: ნინო ჩხეიძის ქუჩა №34/36 (ევროსაბჭოს გვერდით სახლი).

---



დედა ვენერა, მამა გურამი, მეუღლე მარინა, შვილები ლაშა, ნინო, ნიკა, ირაკლი, ძმები ბადრი, ჯემალი, ჯიმშერი ოჯახებით, მამიდა დულა, ბიცოლა ციური ოჯახებით იუწყებიან

**ჯეირან (ჯეკო) გოშთელიანის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 8, 9 მარტს, 16 საათზე. დიღმის მასივი, III კვარტალი, 35-ე კორპუსი.
გამოსვენება: 10 მარტს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე არსებული წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან (სასტუმრო „ამირანის“ უკან).

---

საზოგადოება „კუს ტბა“ მწუხარებას გამოთქვამს თამაზ ჩიხლაძის სიმამრის, შესანიშნავი ადამიანის

**ზურაბ ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მძახლები ზურაბ, ნატო ბახტაძეები, სიძე გიორგი ბახტაძე, შვილი თინიკო მდინარაძე, შვილიშვილები ზურა, მარიამ ბახტაძეები გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რეზო იოსების ძე მდინარაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს ნანა ჭუმბურიძეს, შვილს დარეჯანს, ძმას უშანგის, ძმისშვილებს სოსოსა და ქეთინო მდინარაძეებს.

---

შვილიშვილები ზურა, მარიამ ბახტაძეები, ელენე, კოტე დანელიები გულდაწყვეტილები ემშვიდობებიან საყვარელ ბაბუა

**რეზო მდინარაძეს**

---

ეკა ბახტაძე, ბუბა მურღულია ოჯახით თანაუგრძნობენ რძალს თინიკო მდინარაძეს მამის

**რეზო მდინარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა, ინეზა, მიშა, ზემფირა, დოხოლა, მანანა ბახტაძეები თანაუგრძნობენ რძალს თინიკო მდინარაძეს მამის

**რეზო მდინარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

აკო, ირაკლი, ზურა, ბორიკო, სოსო, თამუნა, ნანა ბახტაძეები მწუხარებით იუწყებიან

**რეზო მდინარაძის**

გარდაცვალებას.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გერმანიაში ორი ამერიკელი სამხედრო მოკლეს

გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტის აეროპორტში ორი ამერიკელი სამხედრო მოკლეს. კიდევ ორი დაიჭრა. პიროვნება, რომელმაც სამხედროების ავტობუსს ცეცხლი გაუხსნა, გერმანიის პოლიციამ დააკავა.

ერთ-ერთი მოკლული ავტობუსის მძღოლი იყო. ოთხივე სამხედრო ინგლისის ჩრდილოეთით მდებარე ლეიკენჰიტის სამხედრო ბაზაზე იყო მივლინებული.

ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმაში ეჭვით 21 წლის კოსოვოელია დაკავებული.

აშშ-ის პრეზიდენტმა დაგმო ეს აღმაშფოთებელი მოქმედება. მისი თქმით, აშშ ყველაფერს იღონებს, რათა ამ დანაშაულთან კავშირის მქონე ყველა პირი მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს.

ამერიკელ სამხედროებს დიდი ბრიტანეთიდან გერმანიაში ჩასვლის დროს დაესხნენ თავს. ისინი რამშტაინის სამხედრო ბაზისაკენ მიემართებოდნენ. რამშტაინი ავღანეთსა და ერაყში აშშ-ის სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს.

სროლა ნაშუადღევს ატყდა. ეჭვმიტანილი თავდამსხმელი შემდეგ ტერმინალის სათავსოში მიიმალა, სადაც იგი გერმანიის პოლიციამ დააკავა.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ტერაქტის საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გერმანიის აეროპორტებში უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს.

კოსოვოს შს მინისტრის თქმით, ბაირამ რეჯეპის თქმით, გერმანიის პოლიციამ დაადგინა, რომ ეჭვმიტანილი ქალაქ მიტროვიცას მკვიდრია. ეს ქალაქი კოსოვოს ჩრდილოეთით მდებარეობს.

მან ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმა დაგმო და განაცხადა, რომ უნდა გაირკვეს, იყო თუ არა ეს თავდასხმა დაგეგმილი და როგორი იყო მისი ბუნება.

ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც დაგმო. მან თავდასხმას „წარმოუდგენელი ინციდენტი“ უწოდა. მისი თქმით, გერმანიის მთავრობა ყველაფერს იღონებს, რათა მომხდარის მიზეზები და გარემოებები გამოარკვიოს.

გასული წლის მარტში რამდენიმე ობიექტის, მათ შორის რამშტაინის ბაზის აფეთქების მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გერმანიაში ოთხი ისლამისტი გაასამართლეს.

მიმდინარე წლის თებერვალში კი გერმანიის პარალმენტმა ავღანეთის ოპერაციაში გერმანიის ჯარების მონაწილეობის მანდატი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში გერმანიის 4800-იანი კონტინგენტის ყოფნას ყველა გერმანელი არ მიესალმება.

*გ.თ.*

# ვიქილიქსის საინფორმაციო წყაროს დამატებითი ბრალდებები წაუყენეს

აშშ-ის არმიის პირველი კლასის რიგითის, ბრედლი მენინგის წინააღმდეგ, რომელსაც ინტერნეტ საიტ „ვიქილიქსზე“ საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვასთან, 22 ეპიზოდთან დაკავშირებით ბრალდებები წაუყენეს, პენტაგონმა დამატებითი ბრალდებები წამოაყენა.

მენინგი 620 ათასამდე საიდუმლო დიპლომატიური და სამხედრო დოკუმენტის ვიქილიქსისათვის გადაცემის ორგანიზებში არის ეჭვმიტანილი.

მიმდინარე წლის მაიში მას საიდუმლო ვიდეომასალების გავრცელების 12 ეპიზოდთან დაკავშირებით ოფიციალურად წაუყენეს.

ამჯერად პენტაგონმა მას მთავრობის კუთვნილ კომპიუტერებზე არაავტორიზებული კომპიუტერული პროგრამების დაყენების და მათი საშუალებით საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების ბრალდებები წაუყენეს.

რიგითი მენინგსის ადვოკატმა განაცხდა, რომ მისი დაცვა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ვარაუდობდა, რომ ჯარისკაცისათვის დამატებითი ბრალდებები შეიძლება აწეყენებინათ.

ბრედლი მენინგი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 2007 წლიდან მსახურობს. ამჟამად იგი ვირჯინიის შტატში, კვანტიკოს სამხედრო-საზღვაო ბაზაზე საგანგებო რეჟიმის ციხესი იმყოფება.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ინტერნეტ-საიტი „ვიქილიქსი“ ერაყისა და ავღანეთის ომის შესახებ დიდი რაოდენობით ინფორმაციას აქვეყნებს. საიტმა გამოაქვეყნა აგრეთვე აშშ-ის დიპლომატიური მიმოწერის საიდუმლო დოკუმენტები, ის საბუთები, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში აშშ-ის საელჩოები სახელმწიფო დეპარტამენტისაკენ აგზავნიდნენ.

სხვა დოკუმენტებს შორის ვიქილიქსმა გამოაქვეყნა დეპეშა სახელწოდებით „რეიკიავიკი 13“, რომელშიც ლაპარაკია ამერიკელი დიპლომატებისა და ირლანდიელი ოფიციალური პირების მიერ ქვეყნის ფინანსური პრობლემების განხილვის შედეგებზე, გარდა ამისა, 2007 წელს ერაყში მომხდარი საჰაერო თავდასხმის ამსახველი ვიდეომასალა, რომლის დროსაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა რეიტერის სააგენტოს ორი თანამშრომელი მოკლეს.

*გ.თ.*

# მანუ ჯინობილი — ყველაზე ცნობილი სამხრეთამერიკელი კალათბურთელი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ყოფნისას, იქ საერთოდ არ შევცვლილვარ — ისევ ყოველი გამარჯვების მოლოდინში ვარ.

***— ვიმედოვნებთ, შეძელით თქვენივე მოლოდინის გამართლება ასოციაციაში გატარებული კარიერის მანძილზე.***

— გამოგიტყდებით, მოლოდინზე მეტად გამართლდა. როდესაც კარიერას ვიწყებდი, ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში ვითამაშებდი. იტალიაში თამაშის პერიოდში კი რომ ეთქვათ, მე ნბა-ს 3-გზის ჩემპიონი გავხდებოდი, ვიფიქრებდი, რომ ის ადამიანი ჭკუაზე არ იყო. დამერწმუნეთ, მაშინ ამის არანაირი შანსი არ მქონდა.

***— საერთოდ თუ ხედავდით თქვენს თავს ნბა-ს რომელიმე კლუბის ძირითად შემადგენლობაში?***

— ვფიქრობდი, რომ ძირითადში მოხვედრა და წარმატებით თამაში შემეძლო, მაგრამ ორჯერ თუ „ოლ სტარი“ მომიწევდა და ან რაღაც ამგვარი, ვერ წარმომედგინა. ახლა სასიამოვნოა, როდესაც 10 წლით უკან მიიხედავ და დაინახავ, რა მოხდება შემდეგში.

***— კარიერის დასრულების შემდეგ სან ანტონიოში დარჩებით თუ მშობლიურ არგენტინას დაუბრუნდებით?***

— ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც მწამს, რომ არგენტინაში დავბრუნდები, მაგრამ თქვენს კითხვაზე ამ წუთში კონკრეტული პასუხი არ მაქვს. ჯერ კიდევ ვთამაშობ, ამის გარდა, 9 თვის შვილები მყავს. დადგება დრო, როდესაც მეუღლესთან ერთად დავჯდები და გავარკვევთ, თუ როგორ იქნება უკეთესი.

***— ხედავთ თქვენს თავს „დეზების“ ხელმძღვანელ სისტემაში, როდესაც კარიერას დაასრულებთ?***

— გაგიკვირდებათ და მთლიანი სამუშაო დღის დატვირთვას ვერ გავუძლებ. შესაძლოა, უფრო მზვერავის სტატუსით ან ოფიციალური წარმომადგენლის როლში დავინახო. ახლა უბრალოდ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიმუშავო მთელი დღე, ან თუნდაც მთელი კვირა. უფრო მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დამჭირდება გარკვეული დრო, რათა გადაწყვეტილება მივიღო.

***— სხვა გუნდში წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?***

— არა. 2 წლის წინ ვფიქრობდი, რომ ეს შესაძლებელი იყო. მაშინ თავისუფალი აგენტი ვიყავი, კლუბისგან კი არანაირი წინადადება არ იყო. მაშინ ვიფიქრე, ხომ არ შემეცვალა სიტუაცია, მაგრამ ეს ყველაფერი თავიდან მაშინვე უკუვაგდე, როდესაც „სან ანტონიოს“ ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა. დღეს ზუსტად გეტყვით, რომ სხვა კლუბში თამაში არ მინდა.

***— თუ მომავალ წელს ნბა-ს ჩემპიონატი ლოკაუტის გამო არ ჩატარდება, მოსინჯავთ ძალებს ისევ ევროპაში?***

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, იანვრამდე იქნება თუ არა ახალი შეთანხმება.

***— და მაინც, თუ მხარეები ვერ მივიდნენ კონსენსუსამდე, უკვე ამორჩეული გაქვთ სად ითამაშებთ?***

— იტალიაში ან ესპანეთში. ალბათ, ყველა კალათბურთელი ევროპაში სათამაშოდ არ წავა. იქ ნამდვილად არ არის ყველას ადგილი. ამასთან, არც ერთი გუნდი არ აიყვანს ისეთ კალათბურთელებს, რომელიც ერთი სეზონის შემდეგ იქაურობას მაინც დატოვებს. ამ საკითხს უფრო მომავალი იანვრის შემდეგ დავუბრუნდები, როდესაც ყველაფერი ზუსტად იქნება ცნობილი. თუმცა, მანამდე ძალიან დიდი დროა. უფრო მისაღები ის ვარიანტია, რომ ამერიკაში დავრჩები და ახალი სეზონისთვის მოვემზადები.

***— არგენტინის ნაკრებსაც შევეხოთ: იმ ფაქტით არ ხართ შეწუხებული, რომ არგენტინაში თქვენი თაობის ღირსეული შემცვლელი არ მოდის?***

— არანაირად. კარგად ვიცი, რომ არგენტინას აკლია მაღალი დონის საშემსრულებლო კალათბურთელები. თუმცა, თქვენც უნდა გაიგოთ, რომ ჩემი თაობა ექსტრაორდინალური იყო. ჩვენ იმაზე მეტი შევძელით, რაც შეგვეძლო და ჯერ კიდევ ვტკბებით თამაშით. ვალდებული ვართ ბრძოლა გავაგრძელოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული. უნდა მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგს. როდესაც ამას ვამბობ, უნდა გაითვალისწინოთ ის გამოცდილება, რაც ამ წლებში გვაქვს დაგროვილი.

***— როგორ ფიქრობთ, თქვენი თაობის წარმატებები, არგენტინას კალათბურთის განვითარებაში წაადგა?***

— ვერ გეტყვით. ჩვენმა თაობამ პირველი გამოჩენა 2002 წელს გააკეთა, ხოლო 2004 წელს უკვე ოლიმპიადა მოვიგეთ. თუ მაშინ ბავშვებმა კალათბურთის თამაში დაიწყეს, ისინი მხოლოდ 6 წლის ასაკის იქნებოდნენ და ახლა პატარები იქნებიან. ამიტომ ვერ გეტყვით, დატოვებს თუ არა ჩვენი თაობა თავის კვალს არგენტინის კალათბურთის ისტორიაში.



# TV პროგრამა

**სამშაბათი 8 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00, 04.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ჩემპიონთა ლიგა **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. ბარსელონა-არსენალი **01.40** მოამბე **02.00** მხ.ფ.**"მე დავიპყარი ციხე-სიმაგრე"** (18) (სუბტ.) **05.00** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"პირველი რაინდი"** **01.00** მხ. ფილმი **"დროის მანქანა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ (გან.) **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა 20 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ჯაზის ლეგენდები" **23.40 ჩემპიონთა ლიგა**. შახტარი-რომა **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ.ფ.**"დისტანციური მართვა"** (18) (კ. დილონი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ.**"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ.**"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **00.30** მხ.ფ.**"ევროპელი ჟიგოლო"** (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) **02.15** მხ.ფ. **"სიცილიური კლანი"** (ა. დელონი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი **"საშობაო ამბავი"** (პ. კრუსი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** სერ.**"ორმაგი ცხოვრება"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ოქროს კერპი"** **19.30** სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "ცხრა კოლაელი ყრმა" **11.00** ერთსულოვანი ოჯახი **11.25** დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** ანდრია კრიტელის კანონი **12.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-2 ნ. **13.30** კონცერტი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** დოკ. ფილმი "ნაძარცვის კვალდაკვალ" **16.30** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" მე-2ნ. **18.25** დიდმარხვის პირველი კვირის საკითხავი **19.15** დოკ. ფილმი "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **20.00** ანდრია კრიტელის კანონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **22.50** ანდრია კრიტელის კანონი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** წარმატების ფორმულა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 8 მარტს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7291

ევრო —2,3924

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8207

რუსული რუბლი — 0,0604

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-12, ღამით — 3-5
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 6-19
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 1-6, ღამით — -§ -2

## ამინდის პროგნოზი 8 მარტისთვის





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## რუმინელები სათბილისოდ ემზადებიან



**12 მარტს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შინ რუმინელებს დაუხვდებიან. გარდა იმის, რომ ეს ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩია, სხვა დატვირთვაც აქვს — ანთიმოზ ივერიელის თასი, რომელიც სადღეისოდ რუმინელებს ეკუთვნით.**

ჩვენი გუნდის მზადებასა და გაფართოებულ შემადგენლობაზე გუშინდელ ნომერში ვწერდით, ახლა თუ როგორ ემზადებიან რუმინელები თბილისში ჩამოსასვლელად.

მეტოქემ შეკრება კვირას დაიწყო და გაფართოებულ შემადგენლობაში 31 მორაგბეა. გეხსომებათ, ბოლო მატჩში რუმინელებმა შინ 33:3 დაამარცხეს რუსები და იმ მატჩიდან განსხვავებით შემადგენლობაში ახალი ძველი სახეები არიან — დრაგოს დიმა, სამუელ მარისი, ვალენტინ ურსაჩე და იონუტ დიმოფტე. მარისი გუნდში იმიტომ მოხვდა, რომ ტრავმა მიიღო მიხაი ლაზარიმ, დიმოფტე კი თავად იყო

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## მკურნალობა სტრიპტიზით

ნიუ იორკის მკვიდრი ქალბატონი სარა უაითი ფსიქოლოგური თერაპიის ონლაინ კურსის დროს სამკურნალო საშუალებად შიშველ სხეულს იყენებს. ინტერნეტის სეანსის დროს იგი პაციენტის თვალწინ ნელ-ნელა შიშვლდება. სარა უაითი საკუთარ თავს მოყვარულ ფსიქოლოგს უწოდებს. მას 30-მდე მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც ონლაინ თერაპიაში მონაწილეობენ. ერთსაათიანი სეანსის განმავლობაში პაციენტები აკვირდებიან, თუ როგორ შიშვლდება იგი. მისი მაყურებლები ძირითადად არიან სტუდენტები და ხანდაზმული ადამიანები, ვისაც ქალებთან ურთიერთობაში პრობლემები აქვთ. სარა ამტკიცებს, რომ მისი სიშიშვლე პაციენტებს მოდუნებაში ეხმარება. მის მომხმარებლებს შორის რამდენიმე ქალია, რომლებზეც, სარას თქმით, მისი სხეულის ხილვა დამამშვიდებლად მოქმედებ.



„ჩემი თერაპიული მეთოდი მიმზიდველი და შთამბეჭდავია. იგი განსაკუთრებით სექსუალური პრობლემების მქონე მამაკაცებისათვის შეიძლება იყოს სასარგებლო. ფროიდი თავისუფალი ასოციაციების, ცნობიერების ნაკადის საშუალებით მკურნალობდა, მე სიშიშვლეს ვიყენებ" — აცხადებს იგი. პროფესიონალი ფსიქოლოგები კი თერაპიის მსგავსი არასტანდარტული მეთოდებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

„ეს ქალბატონი თავის მოქმედებას თერაპიას უწოდებს, მე კი მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ მსუბუქი პორნოს ინტერაქტიული სეანსებია" — აცხადებს ფსიქოლოგი დიანა კირშნერი. **გ.თ.**


# მალე! მალე! მალე!

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

# გთავაზობთ

# სუპერპროექტს

# ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო


**ტესტი**

## თუ ხართ კმაყოფილი საკუთარი ცხოვრებით



**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცით.**

1. სხვები თქვენზე უკეთ იცვამენ?
2. სხვა სახლში ცხოვრება გინდათ?
3. ისურვებდით სხვა სამუშაოს?
4. ერთხელ მაინც თუ მოგსვლიათ აზრად, საკუთარი თავი სხვად გაგესაღებინათ?
5. ხშირად თუ ბრაზდებით ან იმედი გიცრუვდებათ?
6. ადვილად მშვიდდებით?
7. თუ ფიქრობთ, რომ ბედი არ გწყალობთ?
8. კმაყოფილი ხართ თქვენი სექსუალური ცხოვრებით?
9. მოგწონთ საკუთარი გარეგნობა?

**პასუხები** *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-8 და მე-9 შეკითხვებისა):*

**0-3 ქულა:** სავსებით კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით, შეიძლება ზოგი რამ არ მოგწონდეთ, მაგრამ ბედნიერად გრძნობთ თავს.

**4-6 ქულა:** თქვენ ძირითადად კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით, თუმცა, გარკვეული ასპექტების შეცვლას ისურვებდით.

**7-9 ქულა:** აშკარად უკმაყოფილო ხართ საკუთარი თავით, მრავალი რამის შეცვლას ისურვებდით. **გ.თ.**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 2. დაბა სიღნაღის რაიონში; 3. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. დაღესტნელთა ქართული სახელწოდება; 15. კამეჩის ნაშიერი; 17. ჩეხური საავტომობილო ფირმა. 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ამერიკის კონტინენტზე.

**თარაზულად:** 6. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი შუა-საუკუნეების აჭარაში; 7. სომალის დედაქალაქი; 8. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 11. „შაჰნამე"-ს ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა; 19. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. მოსამართლე ძველად საქართველოში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## ასტროპროგნოზი 8 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ცხოვრებას რეალისტურად შეხედეთ!

**ვერძი** — ახალი წამოწყება გაამართლებს, სამსახურებრივი რომანი დამალეთ, არ გაგიგონ. **კურო** — თვითგვემას მოეშვით, პირად ცხოვრებაში წარმატებას მიაღწევთ. **ტყუპები** — საქმეებს ახლობლები მოგიგვარებენ, გქონდეთ მათ იმედი. **კირჩხიბი** — თქვენი შარმი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ადვილად გაიჩენთ თანამოაზრეებს. **ლომი** — დაბნეული ხართ, ამიტომ მოერიდეთ საქმის გარჩევას. **ქალწული** — საყვარელ ადამიანთან სასიამოვნო დღეს გაატარებთ, თე მარტოხელა ხართ, სიყვარულს იპოვით. **სასწორი** — ახალი თავგადასავლების ძიებაში ხართ, გაერთეთ, მაგრამ თავი არ დაკარგოთ. **ღრიანკალი** — პირად ცხოვრებაში ვნებათაღელვაა მოსალოდნელი, არ აჰყვეთ ემოციებს. **მშვილდოსანი** — წარმატებული დღეა, გიმართლებთ პირად ცხოვრებაშიც და სამსახურშიც. **თხის რქა** — გზა წარმატებული იქნება, საქმეებს ადვილად მოაგვარებთ. **მერწყული** — თავი გააკონტროლეთ, არჩევნის წინაშე აღმოჩნდებით, ნუ იქნებით რადიკალური. **თევზები** — თქვენი საქმეები მოსაწესრიგებელია, ჩამოდით მიწაზე და იმოქმედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი



— ქალის გულს ყველაზე კარგად მერსედესის გასაღები ერგება...

* * *

ბარში სახეგაბრწყინებული მამაკაცი შევიდა:
— ბიჭი შემეძინა, ყველას ვუმასპინძლდები.
— რამდენს იწონის?
— ოთხ კილოს.
— სიგრძე?
— 53 სმ.
— ცოლი თავს როგორ გრძნობს?
— ჯერ არ იცის...

* * *

— ყურებამდე ნეხვში მყოფს პირის გაღება ნამდვილად აღარ მოგინდება...

* * *

— სადილის შემდეგ რას აკეთებ?
— ვახშამს ველოდები... **გ.თ.**